ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ანა გოგოტიშვილი

უცხოური ინვესტიციების გავლენა სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებაზე

სამაგისტრო პროგრამა ,,ეკონომიკა“

ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ლაზარიაშვილი

ასისტენტ პროფესორი,

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

თბილისი

2019

ანოტაცია

სოფლის მეურნეობის დარგში მიმდინარე ტენდენციები საკმაოდ აქტუალურია. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია აღნიშნულ სფეროში არსებული პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და გამოყენება. აუცილებელია, ისეთი აგრარული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ფინანსური რესურსების მოზიდვას დარგში. საქართველოში სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქცია ძირითადად შინამეურნეობებისთვის გამოიყენება, ამ დარგში მიმართულმა ინვესტიციებმა უნდა გაზარდოს წარმოების მოცულობა. სწორედ, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა წარმოადგენს აგრარული სექტორის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას. ქართული ეკონომიკა, ძირითადად, უცხოურ კაპიტალდაბანდებებზეა დამოკიდებული და განსაკუთრებულად საჭიროებს გრძელვადიან ინვესტიციებს. წინამდებარე ნაშრომი მიზანად ისახავს ქართული საინვესტიციო გარემოს ძირეული პრობლემების განსაზღვრასა და მათი აღმოფხვრის გზების ძიებას, გაანალიზებულია, თუ რა მიმართულებებით ხორციელდება აგრარული სექტორის მხარდაჭერის პროგრამები ქვეყანაში. მიზნებიდან გამომდინარე დასახულ იქნა რიგი ამოცანებისა, განისაზღვრა საინვესტიციო პროცესების როლი სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებაში; ხაზი გაესვა საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიმართულებებს, შეფასებულ იქნა სახელმწიფო აგრარული პროგრამები და გამოწვევები.

აღნიშნულ ნაშრომში განხილულია უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის; ზოგადად საინვესტიციო გარემო, ნაჩვენებია ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო ფონი ინვესტიციების რეგულირებისათვის და ინვესტიციების მოზიდვის მასტიმულირებელი პოლიტიკა აგრარულ სექტორში; ნაშრომში გაანალიზებულია უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე მოქმედი დადებითი და უარყოფითი ფაქტორები, განხილულია აგრარულ სექტორში განხორციელებული ინვეტიციების გავლენა სხვა სექტორების განვითარებაზე.

Annotation

Ana Gogotishvili

The influence of foreign investments on the development of agriculture sector

The subject of research of the Master's thesis is to evaluate the influence of foreign investments on the development of agriculture industry. The thesis reviews the importance of foreign investments for the economic growth of the country; investment environment in generally and the factors that affects negatively on attracting foreign investments in agricultural sector. Current trends in agriculture for Georgian economics are very important. It is very important to use and utilize existing potential as much as possible in the field. It is necessary to develop agrarian politics, which will help to attract financial resources in the field. Exactly, the attracting foreign investments is one of the topical problems of the agricultural sector. Georgian economics depends on foreign capitals very much.

Pervious thesis aimed to determine Georgian investment environment and find out the ways to solve current problems, there are analyzed the directions of agricultural sector support programs in the country. There were set up a number of tasks, was determined the role of investment process in the field of agriculture; here was underlined the directions of improvement of investment environment. The state agrarian programs and challenges were evaluated.

შინაარსი

ანოტაცია ქართულ ენაზე.....3

ანოტაცია ინგლისურ ენაზე.....4

შესავალი.....5

თავი 1: უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში

1.1 უცხოური ინვესტიციების თეორიული საფუძვლები.....8

1.2 უცხოური ინვესტიციების ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე.....16

თავი 2: საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების ტენდენციები და დარგში განხორციელებული ინვესტიციების ანალიზი

2.1 საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების ტენდენციები.....36

2.2 აგრარულ სექტორში განხორციელებული უცხოური ინვესტიციები და მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე.....44

თავი 3: საინვესტიციო გარემო და ინვესტიციების მოზიდვის პრიორიტეტები საქართველოში

3.1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შემაფერხებელი ფაქტორები აგრარულ სექტორში.....54

3.2 უცხოური ინვესტიციების პრიორიტეტები და აგრარული სექტორის მხარდაშერის პროგრამები საქართველოში.....65

დასკვნები და რეკომენდაციები.....88

გამოყენებული ლიტერატურის სია.....91

შესავალი

თემის აქტუალობა. საქართველოსათვის სოფლის მეურნეობა სტრატეგიული მნიშვნელობის დარგია. დღევანდელი პირობებიდან გამომდინარე აუცილებელია, აგრარულ სექტორში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მზარდი ტემპების შენარჩუნება. მნიშვნელოვანია დარგის განვითარება მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით, ქვეყნის ეკონომიკური თუ სოციალური მდგომარეობის, ჩვენი ტრადიციებისა და ბუნებრივ-ეკონომიკური რესურსების გათვალისწინებით მოხდეს. აგრარულ სექტორში პროდუქტის წარმოების ტემპების ზრდა და შემდგომ მისი სტაბილიზაცია მოითხოვს დარგის განვითარებისაკენ მიმართული სტრატეგიებისა და მეთოდების შერჩევას. აგროსასურსათო პროდუქტების წარმოება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. პირველ რიგში, აქტუალურია ისეთი კონკურენტუნარიანი დარგების განვითარების უზრუნველყოფა, რომელიც სურსათით მოამარაგებს მოსახლეობას. აუცილებელია, ისეთი აგრარული პოლიტიკის შემუშავება, რომელიც აამაღლებს კონკურენტუნარიანობას, ხელს შეეწყობს ფინანსური რესურსების მოზიდვას დარგში. აგრარული სექტორის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა სწორედ უცხოური ინვესტიციების მოზიდვაა. ქართული ეკონომიკა უცხოურ კაპიტალდაბანდებებზეა დამოკიდებული, განსაკუთრებულად საჭიროებს გრძელვადიან ინვესტიციებს, რომელიც არა მხოლოდ ინვესტორთა მიზნებს ემსახურება, არამედ ქვეყნის კეთილდღეობას მოხმარდება.

საინვესტიციო პროცესებს საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება 2003 წლიდან ექცევა. ბოლო წლების განმავლობაში უამრავი მონაცემი დამუშავდა და გაანალიზდა, ჩატარდა რიგი კვლევები და დაისახა სტრატეგიული გეგმები საქართველოს საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები გამოიკვეთა სხვადასხვა მეცნიერ-ეკონომისტთა ნაშრომებში, მათ შორის: ზ. თეთრუაშვილის, თ. ბერიძეს, რ. გოგოხიას, გ. ხელაიას, ლ. ჩიქავას, რ. კაკულიას, ი. მესხიას, ა. სილაგაძეს, რ. ასათიანის, ე. ბარათაშვილის და სხვათა ნაშრომებში. ქართველმა ეკონომისტებმა დაამუშავეს და შექმნეს გარკვეული თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზა, რომელიც მოიცავს

საინვესტიციო პროცესების ანალიზს, მოდელირებასა და პროგნოზებს. საქართველო საკმაოდ კარგ კონკურენტულ უპირატესობებს ფლობს სოფლის მეურნეობის დარგში. მრავალფეროვანი კლიმატური პირობებისა და ჯანსაღი ბიზნეს გარემოს უზრუნველყოფით შეიქმნება დადებითი გარემო პირობები თხილის, ბოსტნეულის, ხილის და სხვა პროდუქციის წარმოებისათვის. მოსახლეობის ჩართულობა აგრობიზნესში ეკონომიკურთან ერთად სოციალურ ხასიათსაც ატარებს. სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობა თავისის საქმიანობით ხელს უწყობს რეკრეაციული და სოციალური ფასეულობების, კულტურული მემკვიდრეობისა და ეროვნული იდენტურობის შენარჩუნებას. ამცირებს ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავებებს. ასეთ პირობებში, მოზიდული უცხოური ინვესტიციები უნდა გახდეს სოფლის მეურნეობის გაჯანსაღების ძირითადი წყარო. უცხოური კაპიტალდაბანდებებით მოხდება აგრარული სექტორის ხელთ არსებული რესურსებისა და პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება. სოფლის მეურნეობამ ძლიერი გავლენა უნდა მოახდინოს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაზე. ამისთვის უნდა შემუშავდეს ისეთი აგრარული პოლიტიკა, რომელშიც მკვეთრად იქნება ხაზგასმული, აღნიშნული დარგის როლი მთლიანად ეკონომიკაში. უნდა განისაზღვროს მისი სტრუქტურა, მიზნები, კერძო და სახელმწიფო სექტორის განვითარების პერსპექტივები, აგრარული წარმოების პოტენციალის ამოქმედების ხელშემწყობი და ხელის შემშლელი ფაქტორები და სხვა.

კვლევის მიზანია უცხოური ინვესტიციების გავლენის შეფასება სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებაზე და შესაბამისი ღონისძიებების გატარება ინვესტიციების სტიმულირებისთვის.

კვლევის ფარგლებში აღიწერება თუ რა დადებით და უარყოფით ეფექტებს მოიცავს უცხოური ინვესტიციები, რა საფრთხეების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს აგრარული სექტორი და როგორი შესაძლებლობებს შეიძენს ის მომავლისთვის.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე დაისახა ამოცანები:

- ქართული საინვესტიციო გარემოს ძირეული პრობლემების განსაზღვრა და მათი აღმოფხვრის გზების შერჩევა;

- უცხოური ინვესტიციების გავლენის ანალიზი საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე;
- საინვესტიციო პროცესების როლის განსაზღვრა აგრარულ სექტორში;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შემაფერხებელი ფაქტორების ანალიზი;
- საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიმართულებების შესწავლა აგრარულ სექტორში;
- სახელმწიფო აგრარული პროგრამებისა და გამოწვევების შეფასება;
- აგრარული სექტორის განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავება.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანია საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგში განხორციელებული უცხოური ინვესტიციები, ხოლო კვლევის ობიექტია საქართველოს აგრარული სექტორი.

კვლევაში გამოყენებული იქნა სხვადასხვა ეკონომიკური სკოლის წარმომადგენელ ეკონომისტთა ნაშრომები, წლიური ანგარიშები ინვესტიციებზე, ადგილობრივი და უცხოური გამოცემები და სტატიები. რიცხობრივი მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ფინანსთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების და საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მაჩვენებლებიდან.

კვლევისას გამოყენებულია ზოგადი და კონკრეტული მეთოდები, კერძოდ, ანალიზი, სინთეზი, ინდუქცია, დედუქცია, მეცნიერული აბსტრაქციის, შედარებისა და სტატისტიკური მეთოდები, აგრეთვე ექსპერტული შეფასებები. ანალიტიკურ და სტატისტიკურ შეფასებებს შორის კანონზომიერებების დასადგენად გამოვიყენეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პუბლიკაციები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მეცნიერ-ეკონომისტთა თეორიული და გამოყენებითი კვლევები.

თავი 1: უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში

1.1 უცხოური ინვესტიციების თეორიული საფუძვლები

ტერმინი ინვესტიცია (სიტყვა-სიტყვით შემოსვა (investire)) ლათინური წარმოშობის სიტყვაა, რაც გულისხმობს - კაპიტალის ხანგრძლივ დაბანდებას ეკონომიკის სხვადასხვა დარგში. დროთა განმავლობაში ტერმინმა ფართო მნიშვნელობა შეიძინა და დღეს უკვე საქმიანობის სხვადასხვა სფეროში გამოიყენება. თანამედროვე გაგებით ინვესტიცია აღნიშნავს მოგების მიღების მიზნით ფინანსური ან/და არაფინანსური აქტივების დაბანდებას.

ინვესტიციების თეორიის ჩამოყალიბებაში დიდი როლი მიუძღვის მერკანტილისტების სკოლის წარმომადგენლებს. მათგან აღსანიშნავია: ი. ბეჰერი, თ. მენი, ჯ. ლო, ჟ. კოლბერი, დ. იუმი, და სხვები. მერკანტილისტები იყვნენ პირველნი, ვინც დაასაბუთა იმ პირობების სახელმწიფოებრივად რეგულირების აუცილებლობა, რომლებიც საინვესტიციო რესურსების ჩამოყალიბებას და ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინებას უზრუნველყოფენ.

ინვესტიციების თეორიის განვითარება მჭიდროდ უკავშირდება ფიზიოკრატების ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლებსაც. მათ შორის: ჟ. ტიუგოს, გ. რივიერას, ფ. კენეს, თ. სიენსის სახელს. მათ პრიორიტეტულ საინვესტიციო პოლიტიკად მიაჩნდათ ეკონომიკის სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარებაში სახსრების დაბანდება. აღსანიშნავია, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის წარმომადგენლების როლი ინვესტიციათა თეორიის განვითარებაში. ხაზი უნდა გაესვას, დ. რიკარდოს, ა. სმითის, თ. მალთუსის ნაშრომებს. მათ გააღრმავეს ინვესტიციების არსის კვლევა და ინვესტიციების განხილვის არე; გააფართოვეს ის სამრეწველო წარმოების დ ა არასაწარმოო სფეროებით. ამ სკოლის წარმომადგენლებმა განსაზღვრეს კაპიტალის დაგროვების როლი საინვესტიციო რესურსების ფორმირებაში და ასევე განიხილეს საკრედიტო ფულის როლი ინვესტიციების განვითარებაში.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს კ. მარქსის შეხედულებები ინვესტიციების შესახებ. იგი ამტკიცებდა, რომ „ინვესტიციებზე არსებული მოთხოვნა შენარჩუნდება და

დაგროვილი კაპიტალი სრული მოცულობით ინვესტირდება მანამ, ვიდრე დაბანდებული სახსრები თუნდაც მინიმალურ მოგებას მაინც მოიტანს. ამასთან, კარლ მარქსის მიხედვით, საინვესტიციო მოგების ვარიაციები პრაქტიკულად გავლენას არ ახდენენ საინვესტიციო პროცესის ინტენსივობაზე, რადგან მოგებაზე გამოდევნება, მისი ნებისმიერი მოცულობის შემთხვევაში, კაპიტალისტის თვითმიზნად გვევლინება და იგი თავის კაპიტალს აბანდებს პრესტიჟის მოსაზრებიდან გამომდინარე, მისი სოციალური სტატუსის ძალით. მარქსმა საინვესტიციო აქტივობის მთავარ რეგულატორად წინ წამოსწია მოგება, რითიც უგულებელყო საინვესტიციო პროცესზე სხვა ფაქტორების, მათ შორის სასესხო პროცენტის განაკვეთის, გავლენა.

ინვესტიციების თეორიაში რევოლუციური ცვლილებები მოახდინეს კეინზიანური მიმართულების წარმომადგენლებმა. მათი შეხედულებით, საინვესტიციო საქმიანობა უნდა გამხდარიყო მნიშვნელოვანი მექანიზმი, რომელიც გავლენას მოახდენდა ეროვნული პროდუქტის ზომაზე, ინფლაციასა და დასაქმების დონეზე. კეინზი იყო ერთერთი პირველი ვინც გამოიკვლია მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და მათი კავშირი ინვესტიციებთან. კეინზის თეორიების მიხედვით ინვესტიციების გადიდება გამოიწვევს დასაქმების დონის ზრდას, ასევე ზრდის შემოსავალს და მოხმარებას, აფართოვებს წარმოებას.

ზოგადად, უცხოური ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა. ის ზრდის ქვეყანაში არსებულ კაპიტალის მარაგს, რაც, თავის მხრივ, შედარებით მაღალ მწარმოებლურობას და დასაქმების მაღალ დონეს უზრუნველყოფს. უცხოური ინვესტიციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, ასეთ ქვეყნებს საშუალება ეძლევა გაეცნონ ახალ ტექნოლოგიებს, შესაძლებლობებს და გამოიყენონ ისინი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ცნობილი შვედი ეკონომისტი, მ. ბლომსტორმი ამბობს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განსაკუთრებით სასარგებლოა განვითარებადი ქვეყნებისათვის, რადგანაც, საბოლოოდ, მათ მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციით წარმოჩენის საშუალებას აძლევს. ამერიკელი და ებრაერლი ეკონომისტების ბოსვორდისა და კოლინსის (Bosworth, B. P. and S. M. Collins, 1999), რაზინისა და შინარის (Hecht, J., Razin,

A. and Shinar N., 2002) მიხედვით: „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადით გამოწვეული ეფექტი განვითარებად ქვეყნებში უფრო მაღალია, ვიდრე სააქციო კაპიტალსა და სესხების ნაკადით მიღებული სახსრებიდან“. შესაბამისად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ინვესტორებისათვის აქტივების უფრო ეფექტიანი გამოყენების საშუალებაა, ხოლო ინვესტიციების მიმღები ქვეყნებისთვის საერთაშორისო სავაჭრო ან/და წარმოების პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას წარმოადგენს.

ცხადია, საინვესტიციო პროცესების ანალიზი შეუძლებელია მისი არსის განსაზღვრის გარეშე. თუმცა, ინვესტიციების შესახებ ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული ერთიანი თეორიული მიდგომა. თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში, ზოგადი სახით, ინვესტიციები განიხილება, როგორც - გრძელვადიანი კაპიტალდაბანდება ნებისმიერი ფორმით საკუთარ ქვეყანაში ან საზღვარგარეთ მოგების მიღების მიზნით დაბანდებიდან კონკრეტული ვადის შემდეგ. მაგრამ, შესაძლოა ინვესტიციების მნიშვნელობის სხვა მრავალი განმარტებაც მოვისმინოთ მაგალითისთვის, ჯ. მ. კეინსის აზრით ინვესტიციები, ერთის მხრივ, ასახავს დაგროვების მიზნებისთვის აკუმულირებული შემოსავლის სიდიდეს, მეორეს მხრივ წარმოადგენს დანახარჯებს, რომელიც განსაზღვრავს საინვესტიციო წინადადების რეალიზაციის შედეგად კაპიტალური ქონების მნიშვნელოვან ზრდას. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ინვესტიცია ნიშნავს, დღეს დავთმოთ თანხა იმისთვის, რომ მომავალში უფრო მეტი მივიღოთ. საქართველოს კანონმდებლობით კი ინვესტიციად ჩაითვლება: „ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე მთლიანად და უპირობოდ არის დაცული“.

როგორც უკვე აღინიშნა, ინვესტიციები შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის ფარგლებს გარეთ. ადგილობრივი ინვესტიციებისაგან განსხვავებით უცხოური ინვესტიციები უფრო მეტად ხვდება ყურადღების ცენტრში. ეს უკანასკნელი შეიძლება ორ ძირითად ნაწილად დაიყოს:

1. პორტფელური ინვესტიციები ანუ ის დაბანდებები რომლებიც გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდების შესაძენად გამოიყენება. როგორც წესი, ასეთი დაბანდება საფინანსო შუამავლების დახმარებით ხორციელდება. პორტფელურ

ინვესტიციებს ხშირად „ცხელ ფულსაც“ უწოდებენ და მოკლევადიანი ხასიათიდან გამომდინარე, კაპიტალის არასტაბილურ ნაკადებთან აიგივებენ, რადგანაც იგი მიმღები ქვეყნის ეკონომიკაში არასტაბილურობის პირველი ნიშნის გამოჩენისთანავე დაუყონებლი ტოვებს ეკონომიკას.

2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომელიც ძირითადად კაპიტალის შემქმნელ დაბანდებებს წარმოადგენს. მათ ხშირად რეალურ ინვესტიციებს უწოდებენ და განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. პირდაპირია ინვესტორი, რომელიც ფლობს საწარმოს აქციების არანაკლებ 10 პროცენტს ან ასეთი მონაწილეობის ექვივალენტს. პირდაპირი ინვესტორის როლში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური პირები, კორპორირებული ფიზიკური პირები ან/და არაკორპორირებული კერძო და სახელმწიფო გამოყოფენ ასევე სხვა ინვესტიციებს.

დაბანდების ხანგრძლივობიდან გამომდინარე ინვესტიციები შემდეგნაირად შეიძლება კლასიფიცირდეს:

- მოკლევადიანი ინვესტიციები- განისაზღვრება ერთ წლამდე ვადით;
- საშუალოვადიანი ინვესტიციები- 1-დან 3 წლამდე ვადით;
- გრძლევადიანი ინვესტიციები- 3 წელიწადზე მეტი ხანგრძლივობის ინვესტიციები.

ბუნებრივია, რომ მიზნებიდან და საქმიანობის სფეროდან გამომდინარე ინვესტიციების ხანგრძლივობა სხვადასხვა შეიძლება იყოს. ინვესტორებს განსხვავებული შეხედულებები აქვს ბიზნეს სტრატეგიებზე და ამის გამო ინვესტირების მრავალი სახე არსებობს:

- რეინვესტირება;
- პირდაპირი ინვესტიციები;
- რეალური ინვესტიციები (რეალური ინვესტიციების ქვეშ იგულისხმება დაბანდებანი უშუალოდ წარმოებაში, ანუ ძირითად კაპიტალში და საბრუნავ საშუალებებში);
- ფინანსური ინვესტიციები (ფინანსურ ინვესტიციებს მიეკუთვნება დაბანდებები ფასიან ქაღალდებში, მიზნობრივი ფულადი ანგარიშები, კრედიტები და ა.შ);

- ვენჩერული ინვესტიციები (ინვესტიცია ახალ ან მცირე საწარმოში, რომელიც ჩვეულებრივ აქციათა პაკეტის მნიშვნელოვანი წილის ინვესტორის საკუთრებაში გადასვლის სანაცვლოდ ხორციელდება. ვენჩურული კაპიტალის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია მაღალი რისკი);
- გრძელვადიანი ინვესტიციები;
- მოკლევადიანი ინვესტიციები.

ებრაელ-ამერიკელი ეკონომისტის ე. ჰელფმენის (ELHANAN HELPMAN, 2004) კვლევების მიხედვით, ფირმები პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, ძირითადად იმ შემთხვევაში აბანდებენ, როცა სავაჭრო ბარიერები მაღალია. როცა ეს ბარიერები დაბალია, მაშინ ამჯობინებენ, პროდუქტთა ექსპორტირებას და არა ინვესტიციების განხორციელებას.

ჩეის დანის (Dunn C. 1975) თანახმად, პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა შესაძლოა ბაზრიდან გამოდევნოს ადგილობრივი ინვესტიციები, რაც თავის მხრივ, გაზრდის ფასებს კაპიტალის. გრძელვადიან ასპექტში, ბაზრის სტრუქტურიდან გამომდინარე, ადგილობრივი ეკონომიკისა და მთლიანი შიგა პროდუქტის შესუსტებასაც გამოიწვევს. ზოგადად, ადგილობრივი ინვესტიციის გამოდევნა ორი ძირითადი მიზეზის გამო შეიძლება მოხდეს: პირველი, როდესაც ადგილობრივი ფირმები ქრებიან უცხოელი კონკურენების მაღალი პროდუქტიულობის და ხარისხის გამო და მეორე, უცხოელი კონკურენტების მიერ ფინანსურ რესურსებზე და გარე ბაზრებზე უკეთესი წვდომის გამო. პირველ შემთხვევაში წმინდა ეფექტი ქვეყნისთვის დადებითი იქნება, რადგან ბაზარზე დარჩებიან მაღალი პროდუქტიულობის და ხარისხის მქონდე ფირმები. მაგრამ, მეორე შემთხვევაში ჩნდება სოციალური დანაკარგები, რომელთა აღმოფხვრაც ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესების დახმარებით უნდა განხორციელდეს. დანის საპირისპიროდ, სლივესტერი (Slywester K. 2005) ამტკიცებდა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ადგილობრივი კაპიტალის აკუმულირება და შემდგომ ადგილობრივი ეკონომიკური ზრდის დასახმარებლად მისი გამოყენება შეუძლია. ამ მოსაზრებებს ემხრობა ასევე ბორენზტეინიც (Borensztein E. De Gregorio J. Lee J-W. 1998), რომელმაც ათეულობით განვითარებადი ქვეყნის დაკვირვების (1970-1990 წლებში) მაგალითზე გამოავლინა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადს ადგილობრივი ინვესტიციების

მნიშვნელოვანი წახალისება შეუძლია. აქედან გამომდინარე, საჭიროა განხილულ იქნას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები.

მოკლედ, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების დადებითი ეფექტის შემდეგი სახეები არსებობს:

- რესურსების ტრანსფერის ეფექტი,
- კონკურენციისა და ეკონომიკის ზრდის ეფექტი,
- დასაქმების ეფექტი,
- ინოვაციის პროცესი,
- პროდუქტიულობა.

ცხადია, ეს არასრული ჩამონათვალია და დადებითი მხარეების მეტად განვრცობა შეიძლება.

ბოლო წლებში, განვითარებადმა ქვეყნებმა განახორციელეს საინვესტიციო რეჟიმების მასიური ლიბერალიზაცია უფრო მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, რადგან ინვესტიციების მოზიდვა განიხილება როგორც ეკონომიკური განვითარების მოდერნიზაციის, შემოსავლის ზრდის და დასაქმების ხელშემწყობ ფაქტორად.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებით ეფექტად განიხილება, ზოგადად, მისი პოზიტიური გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, ეკონომიკური ფაქტორების მთლიანი პროდუქტიულობის და რესურსების ეფექტიანი გამოყენების ზრდის ხარჯზე. როგორც უკვე აღინიშნა, ინვესტიციები ზრდის კაპიტალის მოცულობას და ამ გზით ხელს უწყობს გამოშვების ზრდას, ასევე ხელი ეწყობა მიმღები ქვეყნის ინტეგრაციას გლობალურ პროცესებში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვანია ადამიანისეული კაპიტალის განვითარებისთვის. ასეთი ტიპის დასაქმება ხშირ შემთხვევაში უფრო მაღალ ხელფასებს და უკეთეს სამუშაო პირობებს გულისხმობს.

ერთ-ერთი მთავარი დადებითი ეფექტი არის ტექნოლოგიური გადადინების ეფექტი. აქ იგულისხმება თანამედროვე ტექნოლოგიებსა და მეთოდოლოგიებზე ხელმისაწვდომობა, რაც მაღალ განივათერბულ ქვეყნებში უკვე წლებია გამოიყენება.

რაც შეეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უარყოფით ეფექტებს, ცხადია, მათი ცალსახად განსაზღვრა შეუძლებელია და ისინი ყველა ქვეყნისთვის შესაძლოა სხვადასხვაგვარად განიხილებოდეს. უარყოფით ეფექტთა შორის შეიძლება გამოიყოს:

- გრძელვადიან პერიოდში, პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა შეიძლება გამოიწვიოს დანახარჯების ზრდა;
- რეციპიენტი ქვეყანა კარგავს ეროვნულ წარმოებასა და განვითარების სტრატეგიაზე კონტროლს;
- უცხოური ინვესტიციების შემომტანმა ფირმებმა შეიძლება გააძვირონ სხვა, ნაკლებად კონკურენტული ფირმები;
- შესაძლოა შეიზღუდოს ჯანსაღი კონკურენცია შიდა ბაზრებზე.

მიუხედავად ურთიერთსაწინააღმდეგო ეფექტებისა, ითვლება, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე. ცხადია, იმის გათვალისწინებით, რომ სხვადასხვა ქვეყანა განსხვავებულად იღებს და სარგებლობს განხორციელებული ინვესტიციებით. ასე რომ, შეუძლებელია ცალსახად განისაზღვროს მოველნის უპირატესობა ან/და ნაკლოვანება. საერთო ჯამში, ინვესტიციებიდან მიღებული დადებითი ეფექტების თანმდევი,
ასევე დადებითი, შედეგები ასე შეიძლება კლასიფიცირდეს:

- დასაქმების მაჩვენებლების გაუმჯობესება;
- ტექნოლოგიური გადაიარაღება;
- ადგილობრივი მონოპოლიების განადგურება;
- საქონლისა და მომსახურების ფართო არჩევანი;

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლები არ ითვალისწინებს ინვესტიციათა ბუნებას. ცხადია, ყველა ინვესტიცია ერთნაირად მომგებიანი და სასარგებლო ვერ იქნება. გასათვალისწინებელია, რომ ხშირად არსებობს ისეთი ინვესტიციები რომელბიც აზიანებს კიდეც ქვეყნის ინტერესებს.

მთლიანობაში კი, უცხოური ინვესტიციები გულისხმობს, არარეზიდენტი ფირმების მიერ კაპიდალდაბანდებებს საწარმოებში და სხვადასხვა აქტივებში. მიუხედავად სხვადასხვა ქვეყნების მიერ განსხვავებული ინტერპრეტაციისა, ჩანს რომ, ასეთი ინვესტიციების განხორციელების ძირითადი საფუძველია მსხვილი კომპანიების

მულტინაციონალიზაცია, გაფართოება საბოლოო ჯამში კი, რა თქმა უნდა, მოგების მიღება.

უცხოური ინვესტიციების როლი განსაკუთრებით გაიზარდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში: სავაჭრო ლიბერალიზაციის შედეგად გაზარდა საქონლისა და მომსახურების წარმოების მასშტაბები. 1980-იანი წლებიდან ინვესტიციების მობილურობამ განაპირობა ტექნიკისა და ტექნოლოგიების გავრცელება, მაღალგანვითარებადი ქვეყნებიდან დაბალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისკენ. უცხოელი ინვესტორები ეფექტურად იყენებდნენ კაპიტალ დაბანდებებს და შესაბამის მოგებასაც ნახულობდნენ, ხოლო თავის მხრივ, დაბალგანვითარებული ქვეყნები, სარგებლობდნენ თანამედროვე ტექნოლოგიებით.

უკვე მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სტაბილურობით ხასიათდება. და შედეგად განვითარებადმა ქვეყნებმა თამამად დაიწყეს საინვესტიციო პოლიტიკის გატარება, რათა მაქსიმალურად ეფექტურად გამოეყენებინათ უცხოური დაბანდებები.

1.2 უცხოური ინვესტიციების გავლენა საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე

საქართველოსთვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვა სასიცოცხლოდ აუცილებელ მოვლენას წარმოადგენს. ვინაიდან, ნებისმიერი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია სიღარიბის აღმოფხვრა. ინვესტიციებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა, რადგან დიდწილად ისინი განაპირობებენ ეკონომიკურ განვითარებას.

ბუნებრივია განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები დაინტერესებულნი არიან მოიზიდონ რაც შეიძლება მეტი უცხოური ინვეტიციები. ასეთი ქვეყნები მცირე კაპიტალით ხასიათდებიან, არ გააჩნიათ საკმარისი შიდა დანაზოგები, რაც უარყოფით გავლენას ახდენს როგორც სახელმწიფო ასევე კერძო ინვესტიციებზე. დღეისათვის, საქართველოსთვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი და ეკონომიკური წინსვლის წინაპირობაა. აღნიშნულმა ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკის აღმავლობას. აღსანიშნავია, რომ საქართველომ, პირველმა განახორციელა ღია ეკონომიკური პოლიტიკა მნიშვნელოვანი ინვესტიციების მოზიდვისთვის ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის. საქართველოს მაგალითზე რთულია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად განვითარდა ტექნოლოგიური ან/და ინოვაციური სფერო უცხოური ინვესტიციების გავლენით. იმის გათვალისწინებით, რომ ინოვაციური მაჩვენებლების მიხედვით საქართველო სხვა ქვეყნებთან შედარებით ბოლო ადგილებში ხვდება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი ფინანსური ინსტრუმენტის-საგადასახდელო ბალანსის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. მისი გაანგარიშება საქართველოში 1997 წლიდან ხდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შედგენილი მეთოდოლოგიის საფუძველზე (სსფ, ვაშინგტონი, აშშ, 1993 წ).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში 2007 წლამდე მონაცემები მხოლოდ ქვეყნების ჭრილში მუშავდებოდა, ხაზგასასმელია, რომ ამავე წელს დაფიქსირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაქსიმალური რაოდენობა. 2007 წლიდან კი მონაცემების დაყოფა ხდება საქმიანობის სფეროების მიხედვითაც. 2009 წლიდან კი მონაცემები რეგიონების მიხედვითაც იყოფა.

თურქმა ეკონომისტებმა, გუერსოიმ და ქალიონქუმ 1997-2010 წლების მონაცემებზე დაყრდნობით საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებსა და მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდას შორის კავშირი შეისწავლეს.

საქართველოსთვის, უცხოური ინვესტიციების მხრივ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი პერიოდი იწყება 2003 წლიდან. აღნიშნული პერიოდიდან 2010 წლის ჩათვლით საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა სულ 7,531.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი -2,015,0 მლნ. აშშ დოლარი 2007 წელს დაფიქსირდა, რაც 69.3%-ით აღემატება წინა წლის მონაცემს. ინვესტიციების მაღალი ტემპი შენარჩუნებული იყო 2008 წლის აგვისტომდე. 2009 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება კლების ტენდენციით ხასიათდება, რაც ძირითადად, განპირობებული იყო რუსეთ-საქართველოს ომის და მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენით.

ახალი ათწლეულის დასაწყისიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება ქვეყანაში მზარდი ტენდენციით ხასიათდება. 2010 წელს წინა წელთან შედარებით, საქართველოში 23.7%-ით მეტი ინვესტიცია იქნა განხორციელებული. აღნიშნული პერიოდისთვის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი 22.8%-ით ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში განხორციელდა (1.2 მლრდ აშშ დოლარი).

ზოგადად, უცხოური ინვესტიციების გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე დამოკიდებულია მის ეკონომიკურ პოტენციალზე, საბაზრო მექანიზმის განვითარების დონეზე, ქვეყანაში არსებულ საკანონმდებლო ნორმებსა და სხვა მნიშვნელოვან პარამეტრებზე. მეორეს მხრივ, დიდი მნიშვნელობა აქვს ინვესტორის ინტერესებს, თავისებურებებსა და მოლოდინებს. მიმღები ქვეყანა, როგორც წესი, მოელის ინვესტიციების შედეგად ეკონომიკურ ზრდას, ტექნოლოგიური და საექსპორტო პოტენციალის ამაღლებას, დასაქმების ხელშეწყობას, გლობალურ პროცესებში მეტად ჩართულობას.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ უცხოელი ინვესტორი საკუთარ გამდიდრებაზეა ორიენტირებული და საქართველოს, როგორც ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნის განვითარება მის ინტერესებში ნაკლებად შედის. აქედან გამომდინარე

საყურადღებოა, რამდენად უარყოფითად იმოქმედებს უცხოელი ინვესტორის მიერ მიღებული მოგების ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანა. ცხადია, აქ უკვე ინვესტორი თავად წყვეტს როგორ იმოქმედოს.

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა ასე გამოიყურება (იხ. ცხრილი 1). 1997 წლიდან უცხოური ინვესტიციების უმეტესი წილი სააქციო კაპიტალზე მოდის. ამის საუკეთესო მაგალითია საბანკო სფერო. საქართველოში დღეს არსებული ბანკების უმეტესობაში ძირითადად უცხოური ინვესტიციებია ჩადებული და ქართველთა წილი მინიმალური რაოდენობით შემოიფარგლება.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში, მთლიანად ეკონომიკაში, განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2017 წელს ფიქსირდება- 1894.5 (მლნ. დოლარი).

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები[1]

(მლნ აშშ. დოლარი)

ცხრილი №1

წელი	**სულ**	I კვ.	II კვ.	III კვ.	IVკვ.
1996	**3.8**	...	...	...	...
1997	**242.6**	38.8	48.5	97.0	58.2
1998	**265.3**	19.1	97.8	45.0	103.4
1999	**82.2**	19.4	22.3	20.0	20.6
2000	**131.2**	32.7	30.0	28.9	39.5
2001	**109.8**	20.0	30.8	29.8	29.2
2002	**160.2**	24.4	44.6	36.4	54.8

[1] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2003	**334.6**	56.3	80.4	83.4	114.4
2004	**492.3**	118.2	117.2	133.0	123.9
2005	**452.8**	88.6	104.8	79.6	179.7
2006	**1,171.2**	145.2	318.0	332.4	375.5
2007	**1,752.6**	330.8	366.5	468.9	586.4
2008	**1,569.7**	539.5	605.4	134.9	290.0
2009	**664.2**	113.3	177.1	179.0	194.8
2010	**845.1**	176.1	211.4	236.4	221.2
2011	**1,129.9**	222.5	270.9	306.8	329.6
2012	**1,022.9**	295.5	246.8	219.5	261.2
2013	**1,020.5**	290.3	216.4	265.8	248.0
2014	**1,817.7**	326.6	209.7	740.5	540.9
2015	**1,665.6**	335.0	483.0	515.9	331.7
2016	**1,565.8**	378.8	411.5	491.7	283.7
2017	**1,894.5**	393.6	355.8	622.8	522.2
2018	**1,232.4**	300.1	390.4	344.7	197.1
2019*	**281.1**	281.1			

*წინასწარი მონაცემები

აღსანიშნავია, ასევე რომ 2010 წლიდან საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა აღარ ყოფილა 1 მლრდ დოლარზე ნაკლები, რასაც ადგილი ჰქონდა 2008-2009 წლებში რუსეთ-საქართველოს ომისა და მსოფლიო კრიზისის შედეგად. 2009 წელს ამ მიზეზებით უცხოელი ინვესტორების მხრიდან კაპიტალის რეინვესტირება არ განხორციელებულა და ამ მაჩვენებელმა უარყოფითი მნიშვნელობაც კი მიიღო: - 52 მლნ. დოლარი. 2009 წლიდან საერთაშორისო თანამეგობრობამ საქართველოს 4 მილიარდზე მეტი დახმარება და შეღავათიანი კრედიტები გამოუყო. მაგრამ ამავე წელს საქართველოში შემოსული უცხოური

ინვესტიციები 58%-ით, ექსპორტი-24%-ით და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკა 3.7%-ით შემცირდა. შესაბამისად, გაიზარდა ბიუჯეტის დეფიციტი და აქედან გამომდინარე, ქვეყნის სახელმწიფო ვალი, დაახლოებით ორ წელიწადში 3 მილიარდი ლარის მოცულობით გაიზარდა. ამ მოვლენის თანმხლები პროცესი იყო ლარის გაუფასურებაც, ის 1.8-მდე დაეცა.

ქართულმა ეკონომიკამ უცხოელ ინვესტორთა ნდობა 2010 წელს დაიბრუნა და შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების მოცულობა ეკონომიკაში გაიზარდა. თუმცა 2012 წელს, ისევ კრიზისის ფონზე, რეინვესტირების დონე წინა წელთან შედარებით დაბალი აღმოჩნდა.

აღნიშნული, მიუთითებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია უცხოელი ინვესტორებისათვის ქვეყნის ეკონომიკური თუ პოლიტიკური სტაბილურობა. ცხადია, საქართველოს მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ამ გარემოების შესწავლას, გაითვალისწინოს შესაბამისი ფაქტორები და მოამზადოს ინვესტორთათვის სასურველი ეკონომიკური ბაზა, რათა მომავალში ინვესტორებმა უფრო გაბედულად დააბანდონ კაპიტალი ქართულ ეკონომიკაში.

ცხრილში მოცემულია რეგიონების მიხედვით უცხოური ინვესტიციების განაწილება (ცხრილი 2). ადვილი შესამჩნევია, რომ საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის ძალიან დიდი წილი თბილისზე მოდის. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ თბილისში მობილიზებულია ყველა მსხვილი ფინანსური თუ არა ფინანსური ფირმა, იმ კომპანიათა ძირითადი ნაწილი რომლებიც პოლიტიკურად და ეკონომიკურად სტაბილურია, გამოირჩევა განვითარების პერსპექტივით. ასეთი ფირმები ინვესტორთათვის მეტად მიმზიდველია და ამიტომაც ინვესტიციათა აკუმულირება აქ ყველაზე მეტად ხდება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით[2]

ცხრილი № 2

	2013	2014	2015	2016	2017	2018
სულ	**1020539**	**1817689,7**	**1665557,6**	**1565837,6**	**1894491,3**	**1232448**
თბილისი	742220,9	1 366796,0	1 328324,7	1 335897,4	1 471655,7	966765,7
აჭარა	83 137,50	169 240,70	206 539,80	99 601,30	193 797,30	35 073,70
კახეთი	11 028,60	15 796,30	16 118,60	3 903,80	6 179,70	-136,4
სამცხე-ჯავახეთი	51 729,70	74 258,90	31 536,10	30 807,20	39 002,70	32 282,10
ქვემო ქართლი	16 309,20	55 650,80	21 159,80	28 990,70	64 359,00	85 087,10
სამეგრელო-ზემო სვანეთი და გურია	57 229,80	93 648,20	51 209,50	35 050,10	50 558,50	43 266,40
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	59 124,40	27 951,10	25 701,80	28 052,20	60 488,70	47 926,90
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	-241,4	14 347,80	-15 032,70	3 535,00	8 449,80	22 182,60

[2] Geostat.ge საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სტატისტიკურად, ინვესტორთათვის მეორე მსხვილ რეგიონს წარმოადგენს აჭარა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში 2015 წელს ინვესტიციათა მოცულობამ აჭარაში ყველაზე მაღალი მნიშვნელობა - 206 539,80 ათასი აშშ დოლარი მიიღო, ეს სხვა რეგიონებთან შედარებით ყველაზე დიდი მაჩვენებელი ბოლო რვა წლის განმავლობაში. სამწუხაროდ, 2018 წელს აჭარის რეგიონში უცხოურ კაპიტალდაბანდებათა მოცულობამ წინა წლის მხოლოდ 18% შეადგინა (35073,7 ათასაი აშშ დოლარი). 2009 წლიდან სტატისტიკურად, ყველაზე ნაკლები ინვესტიციები განხორციელდა შიდა ქართლსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში. მათ შორის, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2015 წელს, ხოლო ყველაზე მაღალი- 2011 წელს 14254,6 ათასი აშშ დოლარი. აქვე ხაზი უნდა გაესვას, რომ წინასწარი მონაცემებით 2018 წელს კახეთის რეგიონში უცხოურ ინვესტიციათა მოცულობა -136,4 ათასი აშშ დოლარია. სხვადასხვა ქვეყნიდან საქართველოს ეკონომიკაში ინვესტირებული კაპიტალის მაჩვენებლებს (ცხრილი 3) ასახავს. ცხრილში მოცემულია ევროკავშირის ქვეყნების, დსთ-ს ქვეყნების და პირობითად სხვა ქვეყნების მაჩვენებლები. ასევე განხილულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ინვესტირებული ფულადი სახსრების მოცულობა 2011 წლიდან 2018 წლის ჩათვლით.

ევროკავშირის მხრიდან ყველაზე დიდი ინვესტიცია 2014 წელს განხორციელდა 838229.5 ათასი აშშ დოლარი, ხოლო 2015 წელს დსთ-დან ინვესტირებამ 632439,4 (ათასი) აშშ დოლარი შეადგინა. რაც შეეხება დანარჩენ ქვეყნებს, მოცემული მონაცემები ადასტურებს რომ, უცხოური ინვესტირების ყველაზე მაღალი დონე 2017 წელს დაფქსირდა (ჯამში-როგორც ქვეყნებიდან ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებიდან) 1894491,3 ათასი აშშ დოლარი (იხ. ცხრილი №3).

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით[3]

ცხრილი №3

ქვეყნები	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
ევროკავშირი	493053	457328,1	420990,1	838229,5	784003,4	396717,9	766350,6	569265,70
დსთ-ს ქვეყნები	150331	98578,5	144429,5	456975,3	632439,4	620974,4	516960,6	288282,10
სხვა ქვეყნები	432135	403566,5	393450,5	628640,2	202592,3	509722	608663,9	372965,40
საერთაშორისო ორგანიზაციები	94896,5	63454,7	54680,8	-105980,4	39779,5	43125,7	2516,1	1 934,80
სულ	845100	1022928	1020539	1817690	1665558	1565838	1894491	123448

[3] http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo

ევროკავშირის მიერ განხორციელებული ინვესტიციების ოდენობა ყველაზე მაღალ მაჩვენებელს იძლევა. ხაზგასასმელია, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან ყველას აქვს განხორციელებული უცხოური ინვესტიციები ქართულ ეკონომიკაში, გარდა ხორვატიისა. წინასწარი მონაცემებით, 2018 წელს წინა წელთან შედარებით ინვესტიციათა მოცულობა დაახლოებით 14%-ით შემცირდა (იხ. ცხრილი №4).

ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული უცხოური ინვესტიციები 2017-2018 წლებში (ათასი აშშ დოლარი)[4]

ცხრილი №4

ევროკავშირის ქვეყნები	**2017**	**2018**
ავსტრია	7 027,3	14 494,2
ბელგია	4 231,9	1 922,4
ბულგარეთი	4 773,8	8 991,4
ხორვატია	467,2	1 286,9
კვიპროსი	-3 870,7	-90 356,2
ჩეხეთი	142 519,2	72 338,5
დანია	-4 457,1	15 303,6
ესტონეთი	17 734,2	7 537,6
ფინეთი	-435,8	89,8
საფრანგეთი	21 106,7	26 312,7
გერმანია	-94 720,0	42 131,2
საბერძნეთი	675,7	1 091,3
უნგრეთი	1 933,3	1 357,8
ირლანდია	-10,1	536,5
იტალია	8 243,3	1 120,5
ლატვია	-33 854,2	6 620,1
ლიეტუვა (ლიტვა)	2 427,4	-421,1
ლუქსემბურგი	68 325,2	48 445,0

[4] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

მალტა	9 320,7	36 723,9
ნიდერლანდი	356 701,4	167 854,2
პოლონეთი	1 243,0	2 702,3
პორტუგალია	885,5	190,8
რუმინეთი	316,5	-2,5
სლოვაკეთი	146,4	992,4
სლოვენია	997,0	965,9
ესპანეთი	5 835,9	-3 438,3
შვედეთი	1 385,5	804,0
გაერთიანებული სამეფო	247 383,9	203 670,8

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირი თითქმის ყოველწლიურად, ლიდერია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების მხრივ, რაც ბუნებრივია, რადგან ის საქართველოსთვის ერთ-ერთი მაღალგანვითარებული და ფინანსურად საკმაოდ ძლიერი „მეგობარია“.

ინვესტიციების მოზიდვის კუთხით, მნიშვნელოვანია დსთ-ს ქვეყნების განხილვა (იხ. ცხრილი№ 5). მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყნები არ გამოირჩევა ისეთი ძლიერი ეკონომიკით როგორითაც ევროკავშირის ქვეყნები, მათ ბოლო წლებში საკმაოდ დიდი კაპიტალდაბანდებები მოახდინეს საქართველოს ეკონომიკაში.

დსთ-დან განხორციელებული უცხოური ინვესტიციები 2017-2018 წლებში (ათასი აშშ დოლარი) [5]

ცხრილი №5

დსთ-ის ქვეყნები	2017	2018
აზერბაიჯანი	465 040,8	240 007,1
სომხეთი	6 803,7	9 673,1
ბელარუსი	541,9	202,3
ყაზახეთი	-9 422,1	-39 744,6
ყირგიზეთი	122,4	301,1
მოლდოვა	43,6	-26,7
რუსეთი	43 703,6	60 063,4
თურქმენეთი	-254,3	-132,9
უკრაინა	5 295,7	18 501,8
უზბეკეთი	1 082,2	-562,7
სულ:	**512 957,6**	**288 282,1**

აღსანიშნავია, რომ დსთ-ს ქვეყნებიდან მხოლოდ ტაჯიკეთს არ განუხორციელებია ინვესტირება საქართველოში. ხშირად, ყველაზე მეტად აზერბაიჯანელი ინვესტორები ინტერესდებიან საქართველოში კაპიტალის დაბანდებით, ამას ცხადყოფს 2017 წლის მაჩვენებელიც. 1997 და 1998 წლებში განხორციელებული 25 მლნ აშშ დოლარის შემდგომ აზერბაიჯანიდან მომდევნო ოთხი წლის მანძილზე უცხოური ინვესტიციები ქვეყანაში არ შემოსულა. თუმცა 2003 წელს ისევ დაიწყო აზერბაიჯანული კაპიტალის შემოდინება ქვეყანაში და უკვე ბოლო რამდენიმე წელია ზრდის ტენდენციით

[5] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ხასიათდება. აქვე უნდა აღინიშნოს, ამერიკის შეერთებული შტატების როგორც საქართველოს სტრატეგიული მოკავშირის მნიშვნელოვანი როლი საქართველოს საინვესტიციო გარემოში. 1997 წლიდან ყველაზე მეტი ინვესტიცია საქართველოში სწორედ ამ ქვეყნიდან განხორციელდა. ამერიკელი ინვესტორებისთვის საინტერესო აღმოჩნდა ისეთი სფეროები, როგორიცაა: განათლება, კომუნალური, სოციალური მომსახურეობა, სამთომომპოვებელი მრეწველობა, ფინანსური სექტორი, სადაც საერთო ჯამში ამერიკამ საქართველოს ეკონომიკაში 22 მლნ აშშ დოლარზე მეტი ოდენობის ინვესტირება განახორციელა.

რაც შეეხება საქართველოს ეკონომიკურად მეტად ძლიერ მეზობელ ქვეყანას-თურქეთს, ის თითქმის ეკონომიკის ყველა სფეროში ახდენს ინვესტიციებს. თურქი ინვესტორები ძირითადად დაინტერესებულნი არიან: ტრანსპორტით, ენერგეტიკისა და მშენებლობის სექტორით. აქვე ხაზი უნდა გაესვას ერთ არასასურველ ფაქტს, სამწუხაროდ 2012 წლისთვის თურქულმა ინვესტიციებმა უკუგადინება დაიწყო სსასოფლო სამეურნეო სექტორიდან.

სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით ვლინდება, რომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოში შეინიშნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი გაჯანსაღება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2016 წელს 1 584 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 0.5 პროცენტით მეტია წინა წელთან შედარებით. ბოლო ათწლეულში, უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობა წლების მიხედვით, შეიძლება ითქვას, მცირედით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს 2017 წლის მონაცემები, რომელსაც ხშირად ქართველი ეკონომისტები რეკორდულ მაჩვენებლადაც მოიხსენებს.

საქსტატის მონაცემებით 2017 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1.8 მლრდ. დოლარს გადააჭარბა და ეს მაჩვენებელი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 16.2%-ით აღემატება. აღნიშნულ პერიოდში 114%-ით გაიზარდა უცხოური ინვესტიციების მოცულობა მშენებლობის სექტორში და საფინანსო სექტორში (98%-ით). საყურადღებოა ენერგეტიკის სფერო სადაც განხორციელდა 71.5 მლნ აშშ დოლარის კაპიტალური დაბანდება და ამან 61%-იანი ზრდა შეადგინა. საინტერესოა, რომ 2017 წელს მეტი ყურადღება დაეთმო სოფლის მეურნეობის დარგს, მრეწველობას, დამამუშავებელ მრეწველობას, როგორც უკვე აღინიშნა ენერგეტიკას და

მშენებლობას. ასეთი ტენდენცია ხელს უწყობს ახალი ტექნოლოგიებისა და ტექნიკის შემოტანას ქვეყანაში და დადებით გავლენას ახდენს ექსპორტსა და დასაქმების ზრდაზე. ყოველივე აღნიშნულმა სამომავლოდაც უნდა შექმნას ინვესტირებისთვის სასურველი და მდგრადი გარემო.

ცხადია, მხოლოდ ერთი ან ორი წლის მზარდი მონაცემებით არ შეიძლება იმის ვარაუდი, რომ საქართველო აუცილებლად შეძლებს მომავალში უფრო მეტი ინვესტიციების მოზიდვას და ქვეყნის ეკონომიკის სასიკეთოდ გამოყენებას. სამწუხაროფ, მოსალოდნელი არ არის რომ უახლოეს პერიოდში მდგომარეობა დარგში არსებითად შეიცვლება. ამჟამად სოფლის მეურნეობის უმთავრესი ამოცანა საშუალო და გრძელვადიანი პერიოდისთვის ეკონომიკური ზრდის მისაღწევად შესაბამისი ბაზის მომზადებაა. 2018 წლის მონაცემების ანალიზითაც არ შეიძლება გამოიკვეთოს როგორ ტენდენციას შეინარჩუნებს უცხოური კაპიტალდაბანდებები.

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირების გამომწვევ ძირითად მიზეზებს შორის აღსანიშნავია რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში, ასევე, არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება.

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2019 წლის I კვარტალში 281.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2018 წლის ანალოგიურ მონაცემებზე 6.3 პროცენტით ნაკლებია. შემცირების გამომწვევ ძირითად მიზეზებს შორის ხაზი უნდა გაესვას მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულება და რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში. სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2019 წლის I კვარტალში 75.1 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია კომუნალური, პერსონალური და სოციალური მომსახურების სექტორში განხორციელდა და 139.8 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 49.7 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება საფინანსო

სექტორი 42.7 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - ტრანსპორტის სექტორი 28.6 მლნ. აშშ დოლარით. [6]

საქართველო ჯერ კიდევ ეკონომიკის ბევრს სექტორში განიცდის ფინანსური რესურსების ნაკლებობას. ფინასნურ სექტორს: ფინასნურ ინსტიტუტებს, ბანკებს თუ სადაზღვევო და საინვესტიციო კომპანიებს მაღალი რისკის ქეშ უწევთ მუშაობა. შედეგად მაღალია სესხის საპროცენტო განაკვეთებიც. აქედან გამომდინარე, თანხებს მოძიება ახალი პროექტებისთვის საქართველოში უფრო ძვირი შეიძლება იყოს ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. ქვეყანა ჯერ კიდევ დგას მრავალი პრობლემის წინაშე და მათი მოგვარება პრიორიტეტულია ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისთვის. საჭიროა ისეთი სტრატეგიული გეგმის შემუშავება, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შემდეგ გარემოებებს:

- მაკროეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა,
- მარეგულირებელი კანონებისა და ნორმატივების დახვეწა,
- ძლიერი საბანკო სისტემის ჩამოყალიბება,
- განათლების დარგის ხელშეწყობა,
- სტრატეგიული დარგების განვითარება,
- კონკურენტუნარიანი პროდუქტისა და მომსახურების წარმოების ხელშეწყობა,
- ადგილობრივი და უცხოური მდგრადი ინვესტიციების მოძიება.

დღეს, ქართული აგრარული სექტორი ახალი გამოწვევების წინაშე დგას. მსჯელობის საგნად იკვეთება საკითხი იმის შესახებ, თუ რა ახალი როლი უნდა შეასრულოს სოფლის მეურნეობამ ქვეყნის ეკონომიკაში, გარდა ტრადიციული შინაარსისა- რაც მოსახლეობის გამოკვებას ემსახურებოდა. საკითხი ეხება იმას, თუ რა პოტენციალი გააჩნია სოფლის მეურნეობას, აქვს თუ არა სავაჭრო უპირატესობები სოფლად წარმოებულ პროდუქციას და უნდა მიექცეს თუ არა განსაკუთრებული ყურადღება ადგილობრივი მოთხოვნილებების დასაკაყოფილებლად.

[6] სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს: მაკროეკონომიკური პარამეტრები, საგადასახადო და საკრედიტო სფერო, ქვეყნის ფინანსური მდგომარეობა და ვალები და სხვა. სასურველი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბების შემთხვევაშიც, არსებობს გარკვეული საფრთხეები რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ინვესტიციების ზრდას: შესაძლოა ქვეყანამ ვერ შეძლოს ჯანსაღი კონკურენცია გაუწიოს სხვა ქვეყნებს; პოლიტიკური არასტაბილურობა ან/და პოლიტიკური კონფლიქტები უარყოფით გავლენასაც კი მოახდენს ინვესტიციების ზრდაზე. აქვე ხაზი უნდა გაესვას, გარემოებებს რაც აგრარულ სექტორში კრედიტების გაცემას, წლების განმავლობაში აფერხებდა. ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი იყო სასოფლო-სამეურნეო მიწის ბაზარი და, შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო მიწები ძალიან დაბალლიკვიდური იყო; სასოფლო-სამეურნეო მიწების მაღალი ფრაგმენტაციის გამო მცირე მეწარმეობა მაღალრისკიანი ხდებოდა, კომერციული საკრედიტო ორგანიზაციები კი, ამჯობინებდნენ ორიენტაცია მსხვილ ფერმერებზე მოეხდინათ. განუვითარებელი იყო სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა, როგორიცაა: სასაწყობე და სამაცივრე ნაგებობები; გადამამუშავებელი ქარხნები; სარწყავი და სადრენაჟო სისტემები; სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების პარკები და სხვ. ასევე, მნიშვნელოვანი პრობლემები იკვეთებოდა მეცხოველეობაში: არამდგრადი საკვები ბაზა; საძოვრების არასწორი მენეჯმენტი; მიწის დასამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო აღჭურვილობის დეფიციტი; სასუქებისა და თესლების სიძვირე და ა.შ. ამავე დროს, ფერმების ტექნიკა და ტექნოლოგიები საჭიროებდა მოდერნიზაციას. მიწების მცირე ნაკვეთებად დაყოფა ართულებდა მანქანა-მოწყობილობების ეფექტურ გამოყენებას. გაყიდვის სუსტი მეთოდები და სასაწყობეო ინფრასტრუქტურის არარსებობა ზრდიდა დანახარჯებს. საინვესტიციო თანხების სიმცირის გამო ფერმერები ყიდულობდნენ დაბალი ღირებულების უხარისხო თესლსა და სხვა ნედლეულს, რაც აისახებოდა საბოლოო პროდუქტის ხარისხსა და რაოდენობაზე. ყოველივე აღნიშნული ზრდიდა წარმოების რისკებს და ართულებდა პროდუქტის რეალიზაციას. ეს ფაქტორები კი თავისთავად იწვევდა სასესხო პირობების გაუარესებას. ფერმერების დაბალ მწარმოებლურობას განაპირობებდა მათი ღირებულების მოკლე ჯაჭვი, რაც აფერხებდა ინვესტიციების მიღების შესაძლებლობებს.

მეორე მხრივ, შეიძლება ქვეყანას გაუუმჯობესდეს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა და საშუალება მიეცემა განახორციელოს მრავალი საერთაშორისო პროექტი, მოიპოვოს უცხოელ ინვესტორთა ნდობა და საფუძველი ჩაეყაროს მნიშვნელოვან ურთიერთობებს სამომავლოდ. ინვესტორთა თქმით, ყველაზე დიდი პრობლემა რასთანაც მათ უწევთ გამკლავება არის საგადასახადო ორგანოებთან ურთიერთობა. ასევე საბანკო სისტემა, რომელიც ჯერ კიდევ არასრულყოფილია და საკმაოდ მაღალ პროცენტებს ასახელებენ.

ყოველივე ამის საპირისპიროდ, დადებით მოვლენად გვევლინება ფაქტი, რომ საქართველოში უფრო სწრაფად მიმდინარეობს რეფორმები, ვიდრე სხვა ანალოგიური პოლიტ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ქვეყნებში. ამასთან, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორად გვევლინება საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა. ოდითგანვე სხვა ქვეყნები ინტერესდებოდა საქართველოს ამ უპირატესობით. საჭიროა, გონივრულად იქნას გამოყენებული ეს გარემოება ქვეყანაში დიდი უცხოური ინვეტიციების გაზრდის მიზნით.

საზღვარგარეთის ქვეყნებში ინვესტიციების სფეროს რეგულირებასა და მონიტორინგს ახორციელებს: ეროვნული ბანკი, ინვესტიციების მარეგულირებელი სამსახური, ფასიანი ქაღალდების კომისია და ასევე ფინანსური ზედამხედველობის სამსახური. მაგალითად, ჩეხეთსა და სლოვენიაში ინვესტიციების სფეროს ზედამხედველობასა და რეგულირებას ახორციელებს ეროვნული ბანკი. საფრანგეთში, ავსტრიაში, ხორვატიასა და ლიტვაში, საინვესტიციო სფეროს მონიტორინგი ხდება სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოს - ფინანსური ზედამხედველობის სამსახურის მიერ. ბულგარეთში, სლოვაკეთში, ლატვიაში, მონტენეგროში, ბოსნია-ჰერცეგოვინასა და აზერბაიჯანში, როგორც საქართველოში, ინვესტიციების სფეროს რეგულირებას უწევს ინვესტიციების მარეგულირებელი სამსახური, რომელიც ანგარიშვალდებულია აღმასრულებელ ხელისუფლებასთან. ბულგარეთში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების, მონიტორინგისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, მინისტრთა კაბინეტი ქმნის სპეციალურ „ინვესტიციების ხელშეწყობის სააგენტოს“ (Investment Promotion Agency), რომელიც დახმარებას უწევს ეკონომიკის, ენერგეტიკისა და ტურიზმის სამინისტროს სახელმწიფო პოლიტიკის გასატარებლად ინვესტიციების

სფეროში. სლოვაკეთში „ინვესტიციებისა და ვაჭრობის განვითარების სააგენტოს“ (Investment and Trade Development Agency) ქმნის ეკონომიკის სამინისტრო, რომლის მთავარი მიზანია მაქსიმალურად გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა, რათა ქვეყანაში მოიზიდოს უფრო მეტი უცხოური ინვესტიციები და ხელი შეუწყოს რეზიდენტი კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საერთაშორისო ბაზარზე გასასვლელად. ლატვიაში „ინვესტიციებისა და განვითარების სააგენტოს“ (Investment and Development Agency), რომელიც არის იურიდიული პირის სტატუსის მქონე ორგანიზაცია, ქმნის ეკონომიკის სამინისტრო. მისი მთავარი მიზანია ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა, გაუმჯობესება და მონიტორინგი, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ქვეყნის საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ექსპორტის ზრდა საერთაშორისო ბაზარზე. ბოსნია-ჰერცეგოვინაში „უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობის სააგენტო“ (Foreign Investment Promotion Agency) არის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანიზაცია, რომელსაც ქმნის მინისტრთა კაბინეტი. სააგენტო წარმოადგენს იურიდიული სტატუსის მქონე ორგანიზაციას. სააგენტო ახორციელებს საინვესტიციო სფეროს მონიტორინგს. აზერბაიჯანში ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით, პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე შექმნილია აზერბაიჯანის საინვესტიციო კომპანია (Azerbaijan Investment Company), რომლის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და აღნიშნული სფეროს განვითარებას. საინვესტიციო პროექტების განხორციელების მონიტორინგს ახდენს ეკონომიკის განვითარების სამინისტრო. საინვესტიციო კომპანია წარმოადგენ სააქციო საზოგადოებას და არის სახელმწიფო საწარმო. მისი აქციების მთლიანი წილი სახელმწიფოს საკუთრებაშია.

საინვესტიციო საქმიანობის რეგულირება შესაძლებელია, როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი გზებით. 2002 წელს მიღებულ იქნა კანონი “საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ”. მისი მიზანი განისაზღვრა, როგორც სახელმწიფო საწარმოო-საინვესტიციო პოლიტიკის დარეგულირება. ეროვნული საინვესტიციო სააგენტო უწევს ინვესტორს მომსახურებას საინვესტიციო საქმიანობისათვის საჭირო ყველა ლიცენზიის, ნებართვის აღებაში და სხვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებაში.

პირადპირი რეგულირება მოიცავს კანონებისა და ნორმატიული აქტივების ერთობლიობას. საქართველოში მოქმედებს შემდეგი მნიშვნელოვანი კანონები ინვეტიციათა შესახებ:

- საქართველოს კანონი ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ- მიღებულ იქნა 2006 წელს. მისი მიზნებია: ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით. კანონში გაწერილია მოქმედების სფერო, ლიცენზიებისა ან/და ნებართვის გაცემის წესები, ინვესტორთა უფლებები: ა) მოითხოვოს ნებისმიერი ლიცენზიის/ნებართვის (მათ შორის, წინასწარი ლიცენზიის/ნებართვის) გაცემა სააგენტოს მეშვეობით; ბ) მოითხოვოს ქონების შეძენა და მასთან დაკავშირებული ყველა პროცედურის განხორციელება სააგენტოს მეშვეობით; გ) მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება მისთვის ლიცენზიის/ნებართვის (მათ შორის, წინასწარი ლიცენზიის/ნებართვის) გაცემასა და ქონების შეძენას, ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს; დ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიებით.
- საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ- ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებსა და მათი დაცვის გარანტიებს. ამ კანონის მიზანია, დაადგინოს ინვესტიციების ხელშემწყობი სამართლებრივი რეჟიმი. აღნიშნულის თანახმად: „ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში.“ კანონი განსაზღვრავს ინვესტორთა უფლებებს, მათ მოვალეობებს, აკრძალვებსა და შეზღუდვებს, და სხვ.

2013 წელს მიღებულ იქნა კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“, რომლის რეგულირების სფეროს მიეკუთვნება საინვესტიციო ფონდის ნაირსახეობების განმარტება, შექმნის მიზნები და საქმიანობის განსაზღვრა. საინვესტიციო ფონდს

ეკრძალება სამეწარმეო საქმიანობა, მას არ შეიძლება ჰქონდეს სხვა ქონება, გარდა ფულისა, ფულთან გათანაბრებული აქტივებისა და ფინანსური ინსტრუმენტებისა. აღსანიშნავია ასევე, რომ ინვესტორთა სტიმულირებისათვის საგადასახადო კოდექსში შემოღებულ იქნა ორი სპეციალური სტატუსი: საერთაშორისო საწარმო და უცხოური კომპანიის ფილიალი, დაწესდა საგადასახადო შეღავათები უცხოელი ინვესტორებისათვის.

პირდაპირი გზის რეგულირების სახეა სახელმწიფო ინვესტიციების მართვა და მასში მონაწილების მიღება. სახელმწიფო ინვესტიციები, როგორც წესი, ხორციელდება ენერგეტიკის სფეროს განვითარების მიზნით, გზების რეკონსტრუქცია მშენებლობისთვის, კავშირგაბმულობის სისტემის განვითარებისთვისა და დახვეწისთვის. სახელმწიფო ინვესტიციების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტია განათლების სფერო. განათლება ხელს უწყობს მაღალკვალიფიციური შრომითი რესურსების ჩამოყალიბებას.

საინვესტიციო გარემოს რეგულირების პირდაპირი გზაა ამ საქმიანობაში ჩართულ პირთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა, ამასთან მათი პასუხისმგებლობის განსაზღვრა კანონის დარღვევის შემთხვევაში. აღსანიშნავია, საინვესტიციო პროექტების შემუშავება რეგიონალური ან დარგობრივი საინვესტიციო პროგრამების ჩამოყალიბება და სხვა. რაც შეეხება არაპირდაპირ გზებს, მასში შედის ისეთი სიტუაციები, როდესაც საინვესტიციო საქმიანობაში ჩართული პირებისთვის გარკვეული სახის შეთანხმებები დგება, საბიუჯეტო კრედიტების გაცემა ან შეღავათები. ამა თუ იმ სუბიექტისთვის დახმარებების აღმოჩენა, პირობების გამოყოფა საჭირო ბუნებრივი რესურსებზე ხელმისაწვდომობის მიზნით და სხვა. ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი მიზანი უნდა იყოს ქვეყანაში რაც შეიძლება მეტი ინვესტიციების მოზიდვა. სახელმწიფომ საჭიროა გაითვალისწინოს უცხოელ ინვესტორთა ინტერესები. ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ მაკროეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას. სახელმწიფო, საკანონმდებლო რეგულაციებით ხელს უწყობს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ინვესტორებისათვის დამაბრკოლებელი ფაქტორია ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა. ხშირად იქმნება კონფლიქტური სიტუაციები ინვესტორსა და მოსახლეობას შორის, რამაც შესაძლოა ინვესტორების უკმაყოფილება და ცალკეულ შემთხვევებში ამა თუ იმ

პროექტის ჩავარდნაც კი გამოიწვიოს. თანამედროვე პირობებში, უცხოური ინვესტიციების შემოდინების სტიმულირების ძირითად მიმართულებას სხვადასხვა სახის შეღავათების დაწესება წარმოადგენს. შეღავათებით სარგებლობს როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ინვესტორი. აღნიშნულში იგულისხმება ფისკალური, ფინანსური და სხვა სახის შეღავათები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უცხოელი ინვესტორის გადაწყვეტილება ქვეყანაში ინვესტიციის განხორციელების შესახებ დამოკიდებულია სხვა მრავალ ფაქტორზეც. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას, ქვეყანაში არსებულ კანონმდებლობას, ინფრასტრუქტურას, საფინანსო ინსტიტუტების გამართულ მუშაობას, სამუშაო ძალის კვალიფიკაციას და სხვა.

თავი 2: საქართველოს აგრარულ სექტორის განვითარების ტენდენციები და დარგში განხორციელებული ინვესტიციების ანალიზი

2.1 საქართველოს აგრარულ სექტორის განვითარების ტენდენციები

საქართველოს ეკონომიკაში სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ვინაიდან ის არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკურ ხასიათს ატარებს, არამედ ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია.

საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 43% სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებია, საძოვრებისა და მდელოების ჩათვლით. ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაფარულია ტყის ფართობით. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები დაახლოებით 3 მილიონ ჰა-ს მოიცავს. მათგან: საკარმიდამო-1%; მრავალწლიანი კულტურები-9%, სათიბი-5%, სახნავი-27%, ხოლო საძოვარი-58%. სასოფლო-სამეურნეო მიწების დაახლოებით 99% საოჯახო ფერმებად არის კლასიფიცირებული, რომელთაგან საშუალოდ ერთ ფერმაზე მოდის 2.3 ჰა ნაკვეთი. მიწების უმეტესობა - 130 000 ჰა - ჯერ კიდევ აუთვისებელია. ამ ფაქტორს თავის მხრივ განაპირობებს მოსახლეობის სოფლიდან ქალაქისკენ მიგრაცია. მრავალი მიწის მეპატრონე იმ ადგილებში აღარ ცხოვრობს და ამიტომაც, მიწების დიდი ნაწილი დათესილი ან გამოყენებული არ არის. სოფლად მაცხოვრებელთა დიდ ნაწილს არ უღირს თავისი მცირე ზომის მიწის დამუშავება, ამ მიზნით მანქანა-დანადგარების შეძენა, რაც ნაწილობრივ მწარმოებლურობას აამაღლებდა. მიწის ფაქტორი ყველაზე მეტადაა მნიშვნელოვანი აგრარულ სექტორში, რადგანაც სოფლის მეურნეობის დარგი სწორედ მიწის დამუშავებას ეფუძნება და მიზნად ისახავს მიწის გამოყენებით საქონლისა და მომსახურების წარმოებას. სოფლის მეურნეობის განვითარება ორგანულად უკავშირდება მიწის რესურსის გამოყენებას, თუმცა მიწას ფასი თითქმის არ აქვს, რადგან ხუთ ჰექტარზე ნაკლები ფართობისათვის მიწის გადასახადი არ არის. გადასახადები და მარეგულირებელი სისტემა იმგვარად არის მოწყობილი, რომ ფერმერები, მიწის ინდივიდუალური მფლობელები, რომლებიც თვითდასაქმებულნი არიან არ იხდიან საშემოსავლოს და არც დეკლარაციის წარდგენა მოეთხოვებათ თუ არ

აჭარბებენ 100 000 ლარს. ასეთი ეკონომიკური სუბიექტები არც დღგ-ს იხდიან თუ ბრუნვა 200 000 ლარზე ნაკლებს შეადგენს.

ფაქტია, რომ ქვეყანას აგრარული სექტორის განვითარების ხელშეწყობისთვის ბევრი ალტერნატივა არ გააჩნია. რთულია კვალიფიციური სამუშაო ძალის ნაკლებობის პირობებში ახლადჩამოყალიბებული სამრეწველო ფირმების შენარჩუნება ღია გლობალურ ეკონომიკაში. მაგრამ არსებობს ბევრი მიზეზი იმისა, თუ რატომ შეიძლება გახდეს სოფლის მეურნეობა ქართული ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი დარგი. მიწის რესურსებთან ერთად, საქართველოს აგრარულ სექტორს კონკურენტული უპირატესობები გააჩნია მრავალფეროვანი კლიმატური ზონების მხრივ. კლიმატური ნაირსახეობა საშუალებას გვაძლევს სუბტროპიკული ზონებისთვის დამახასიათებელი კულტურები მოვიყვანოთ. აღნიშნული მოიცავს: ყურძენს, სუბტროპიკულ კულტურებს, მარცვლეულს, ხილის ნაირსახეობებს, საადრეო თუ საგვიანო ბოსტნეულს, ბაღჩეულსა და სხვა. კლიმატური ზონა განსაკუთრებულია თავისი 12 განსხვავებული ზონისა და 50მდე სხვადასხვა სახის ნიადაგის არსებობით. ამასთან, ქვეყანა ბუნებრივად მდიდარია სასმელი და საირიგაციო წყლის რესურსებით. საქართველოს ნამდვილად აქვს პოტენციალი შექმნას განსაკუთრებული და მაღალი ღირებულების მქონე, გეოგრაფიულად დომინირებული პროდუქტები, ასევე ჩაერთოს გადამამუშავებელი მრეწველობის ინოვაციურ პროცესებში და განავითაროს ორგანული სოფლის მეურნეობას.

სტატისტიკის მიხედვით, ქვეყანაში საირიგაციო სისტემა თავის მაქსიმალურ დონეს დაახლოებით 500 000 ჰექტარ ფართობს მოიცავდა. 1990 წლისთვის ეს რიცხვი 386 000-ს შეადგენდა. დღეისათვის კი მხოლოდ 80 000 მდე ჰექტარს ფარავს, ეს კი დამუშავებული მიწის დაახლოებით 25%-ს შეადგენს. სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს საირიგაციო სისტემის მოწესრიგების გეგმას. ამ პროცენტული მაჩვენებლის გაზრდა მოხდება სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შესაბამისი ღონისძიებების გატარებით, სასურველია საირიგაციო სისტემის გაფართოების სტრატეგიული გეგმის შემუშავება.

როგორც ჩანს, მიუხედავად პატარა ტერიტორიისა საქართველოს საკმაოდ კარგი ბუნებრივი პირობები ახასიათებს აგრარული სექტორის განვითარებისთვის, სხვადასხვა კულტურებისა და მეცხოველეობის დარგების გაფართოებისათვის.

ბუნებრივ რესურსებთან ერთად მთელს აგრარულ სისტემაზე მოქმედებს სხვა გარემო ფაქტორები: ნიადაგის მდგომარეობა (მისი ნაყოფიერების დონე), სინათლე, ტემპერატურა, ნალექების რაოდენობა, რომელთა დონეც გლობალური დათბობის პირობებში ყოველწლიურად იცვლება. აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიების შემუშავების დროს მნიშვნელოვანია შევაფასოთ და გავითვალისწინოთ საირიგაციო პერიოდების ხანგრძლივობა, ბუნებრივი სავარგულების რაოდენობა და მდგომარეობა, ადგილთა რელიეფი, მინდვრების სიდიდე და სხვა.

აგრარული სექტორისათვის მუდმივი რისკის ფაქტორს წარმოადგენს სტიქიური მოვლენები. ისინი აზარალებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებსა და შედეგად მნიშვნელოვან ნეგატიურ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე. საქართველოში სტიქიები ძირითადად გვევლინება მიწისძვრების, წყალდიდობის, ზვავებისა და სეტყვის სახით. ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული რელიეფიდან გამომდინარე სასოფლო-სამეურნეო მოხმარების მიწები იმგვარად არის განაწილებული, რომ ზღვის დონიდან 500 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს მხოლოდ მიწების 39%, უფო ზემოთ 500-1000 მეტრზე- 29%, 21%- 1000-1500 მეტრ სიმაღლეზე, ხოლო 11% 1500 და უფრო ზემოთ.

მიუხედავად საქართველოს ხელთ არსებული ბუნებრივ-კლიმატური და რესურსული პირობებისა, აგრარული სექტორის განვითარების ტემპი საგრძნობლად ჩამორჩება სხვა დარგებს და შესაბამისად მისი წილი ეკონომიკაში ძალიან დაბალია.

აგრარული სექტორის წილი ქვეყნის ეკონომიკის

მთლიან გამოშვებაში (%)



დიაგრამა 1.

მთლიან შიდა პროდუქტში აგრარული სექტორის წილი წლების მიხედვით მერყევი ტენდენციით ხასიათდება. ქვეყნის ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში აგრარული სექტორის წილი 2014 წლიდან შემცირების ტენდენციით ხასიათდება (იხ. დიაგრამა 1). 2015 წელს წინა წელთან შედარებით ეს მონაცემი ორი პროცენტული პუნქტით დაეცა. მომდევნო წელს სიტუაცია მცირედით შეიცვალა, ხოლო 2017 წელს 15,4% შეადგინა. 2018 წლის მონაცემებით ის კვლავ შემცირებულია 14,8%-მდე.

აგრარული სექტორის განვითარების შემაფერხებელი ძლიერი ფაქტორი არის სიღარიბის მაღალი დონე სოფლად (დიაგრამა 2). სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულთა ხელფასები კი ქვეყანაში დასაქმებულთა საშუალო ხელფასის მხოლოდ 64%-ს შეადგენს. ამასთან გამოკითხვები ცხადყოფს, რომ ბოლო წლებში სიღარიბის დონის შემცირებისა და კეთილდღეობის ამაღლების მხრივ თითქმის არაფერი შეცვლილა. ქალაქსა და სოფელს შორის შემოსავლების განსხვავება ძალიან დიდია, ეს იმ პირობებში როცა ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 55% სოფლად მცხოვრებია.



დიაგრამა 2.

თუ გავითვალისწინებთ, რომ აგრარული წარმოების პროდუქტების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი 10-11%-ს შეადგენს, ცხადია, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებაა საჭირო ამ სექტორში შემოსავლების ზრდისა და კეთილდღეობის ამაღლების უზრუნველსაყოფად. ფაქტია, რომ ქართული აგრარული სექტორი ბევრი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე დგას. აქტუალურია სამართლებრივი და მარკეტინგული სისტემის ხარვეზები, პროდუქციის რეალიზაციის პრობლემები და სხვა. ამასთან, ფერმერთა უმრავლესობა ჯერ ისევ ტრადიციული მეთოდებით და ხერხებით უძღვება მეურნეობას, უგულვებელყოფენ საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს. ეს გარემოება ნაწილობრივ განპირობებულია გასულ წლებში სასოფლო-სამეურნეო რეფორმების არაეფექტურობით, რომლებმაც დახმარების ნაცვლად დამატებითი პრობლემები წარმოშვა სოფლის მეურნეობაში. ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი გარემოებაა ის, რომ ქვეყანა ძირითადად იმპორტზეა დამოკიდებული და თითქმის არ შეუძლია უზრუნველყოს მოსახლეობა საჭირო პროდუქციით. ღარიბმა მოსახლეობამ შესაძლოა გარკვეული სარგებელი

მიიღოს, თუ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხარჯზე გაიზრდება დასაქმების დონე და შეიქმნება უკეთესი პირობები, გაიზრდება შემოსავლები. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ განვითარებად ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენის შესახებ ეკონომიკის ზრდასა და შემოსავლების უთანასწორობაზე რამდენიმე შეხედულება არსებობს. მკვლევართა ნაწილი, კორპორაციებს, რომლებიც პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს ახორციელებენ განვითარებად ქვეყნებში, ბრალს დებს მუშახელის დაბალი ანაზღაურების გამო, რაც სიღარიბის პრობლემას უფრო მეტად ამწვავებს. ზოგი კი ამტკიცებს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხარჯზე კეთილდღეობის მაჩვენებელი იზრდება მომატებული ხელფასებისა და სამუშაო ბაზარზე მუშახელის მოთხოვნის გაზრდის საფუძველზე. მრავალი კვლევა ავლენს ხელფასების ზრდაზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენას, თუმცა, მათი როლის შესახებ შემოსავლების გადანაწილებასთან მიმართებაში კითხვებს ბადებს. რამდენიმე მიზეზის გამო, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ვერ უზრუნველყოფენ შემოსავლების უთანასწორობის შემცირებას. ქვეყანაში არაკვალიფიციური მუშახელის დასაქმების პერსპექტივების გაუმჯობესების მოთხოვნის მიუხედავად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად, კვალიფიციური კადრების დასაქმებას უწყობს ხელს. უცხოური ინვესტიციები შეიძლება არ იქნეს მიზნობრივად გადანაწილებული შესაბამის სექტორებში და ვერ დაიძლიოს შემოსავლების უთანასწორობის პრობლემა ასევე შეინიშნება არსებული სისტემების უნარებზე დაფუძნებული ტექნოლოგიებით ჩანაცვლება, რადგან ადგილობრივებისგან განსხვავებით, უცხოელი ინვესტორები ახალ ტექნოლოგიებს ანიჭებენ უპირატესობას.

საქართველოსთვის ამ ეტაპზე, მნიშვნელოვანია ისეთი დარგების განვითარების ხელშეწყობა რომელთაც ზრდის აშკარა პოტენციალი ახასიათებთ. აქტუალურია თხილის წარმოება, უმნიშვნელოვანესია მევენახეობა-მეღვინეობა, საყურადღებოა მეცხოველეობის დარგი და რძისა და მისი პროდუქციის წარმოების წახალისება. თხილის წარმოება საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანი დარგი გახდა ამ სეგმენტში განხორციელებული ინვესტიციების წყალობით და დღეს თხილის წარმოებას შეუძლია არსებულ მზარდ მოთხოვნაზე რეაგირების მოხდენა. საქართველო თხილის მწარმოებელ ქვეყანათა ხუთეულში შედის, თურქეთისა და იტალიის შემდეგ.

საქართველოში წარმოებული თხილი მსოფლიო წარმოების 5% წარმოადგენს, რაც ჩვენი ქვეყნისათვის საკმაოდ სერიოზული მიღწევაა დარგშივე არსებული პრობლემების ფონზე. თხილის სექტორში ყველაზე დიდი პრობლემა თხილის ხარისხის უზრუნველყოფა და მისი შენარჩუნებაა. მიზეზები თხილის ხის არასწორი მოვლაშა, მოსავლის აღება ან/და დასაწყობებაა. ასევე, ფერმერთა უმეტესობა უჩივის დაავადებების და მავნებლების გავრცელებას. ეს უკანასკნელი, ბოლო პერიოდში საკმაოდ დიდ პრობლემებს უქმნის თხილის ბიზნესს. ამას გარდა, ხშირად ხარისხიანი პროდუქტის ნაცვლად ფერმერები ორიენტირებული არიან მოსავლის რაოდენობაზე. ქართული თხილის ბაზარი ყოველთვის ყურადღების ცენტრშია და საქართველო თხილის ერთ-ერთ მსხვილ მიმწოდებლადაც ითვლება. საქართველოში ნამდვილად არსებობს თხილის ბიზნესის განვითარების ბუნებრივი და რესურსული პოტენციალი.

სოფლის მეურნეობისათვის მნიშვნელოვანია მევენახეობის განვითარება. დარგის მნიშვნელობა ტრადიციულ და ისტორიულ ხასიათს ატარებს. მევენახეობა-მეღვინეობა უძველესი სტრატეგიული სექტორია. ჩვენს ქვეყანაში ვენახების ფართობის უმეტესობა აღმოსავლეთ საქართველოზე მოდის, კერძოდ, კახეთს უკავია დაახლოებით მთელი ფართობის 67%. 2018 წელს, საქართველოდან მსოფლიოს 53 ქვეყანაში 86,2 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ღვინოა ექსპორტირებული, რაც ბოლო თითქმის 30 წლის რეკორდული მაჩვენებელია. ზრდამ 2017 წელთან შედარებით 13%-ს მიაღწია. ექსპორტირებული ღვინის ღირებულება 203 მლნ აშშ დოლარს აღწევს, რაც 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 20%-ითაა გაზრდილი.[7]

საქართველოს აგრარულ სექტორში სტრატეგიულ მნიშვნელობას ატარებს მეცხოველეობა. დარგი პერსპექტიულია, ვინაიდან მეზობელ ქვეყნებში დეფიციტურია, შესაბამისად, მეცხოველეობაში წარმოების ზრდით თავისუფლად შეიძლება საქართველო ამ პროდუქციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ექსპორტიორი გახდეს. მსოფლიო ბაზრებზე დღითიდღე იზრდება რძისა და მის პროდუქტებზე მოთხოვნა. სწორად შერჩეული პრიორიტეტებისა და მიზნების შედეგად სავსებით შესაძლებელია საქართველომ უზრუნველყოს ქართული ბაზრები რძისა და ხორცის პროდუქტებით. დარგის განვითარებისთვის რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ისეთ ნაბიჯების გადადგმა, როგორიცაა: ფერმერთა განათლებისა და მოტივაციის ამაღლება, ინფრასტრუქტურული

[7] http://georgianwine.gov.ge/Ge/Files/Download/5104

მოწყობა და ტექნოლოგიური ბაზის გაუმჯობესება. პირველ რიგში, საქართველოს წინაშე დგას ამოცანა, რომელიც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს მუდმივად აწუხებს: მოხდეს ქვეყნის შიგნით მოსახლეობის საჭირო პროდუქტებით დაკმაყოფილება. მომდევნო ეტაპზე კი საექსპორტო ზრდის უზრუნველყოფა და სტაბილიზაცია.

თანამედროვე პირობებში, ჩვენი ქვეყნის უპირველესი ამოცანაა დააკმაყოფილოს მოსახლეობის მოთხოვნილება სურსათზე ქვეყნის შიგნით. ეს კი მოითხოვს ახალი მეთოდების და სტრატეგიების შემუშავებას, ეკონომიკის ახლებურ მოწყობას და სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების შედეგების, ჩვენი ქვეყნის ტრადიციებისა და ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებას.

2.2 აგრარულ სექტორში განხორციელებული უცხოური ინვესტიციები და მისი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე

დღეისათვის, მსოფლიოს ყველა ქვეყანა ცდილობს მოიზიდოს პირდაპირი უცხოური ინვეტიციები, რადგან ის ჩვეულებრივ ასოცირდება ეკონომიკურ ზრდასთან. მიმღები ქვეყნებისთვის ინვესტიციების ზრდა ხელს უწყობს მწარმოებლურობის ზრდას, ახალი ტექნოლოგიების, ნოუ-ჰაუს გაცნობას, ადამიანური რესურსების გადამზადებას, საერთაშორისო პროცესებში ჩართულობას და სხვა.

განვითარებული ქვეყნებისთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის აღმავლობისთვის რაიმე განსაკუთრებულ ფაქტორს არ წარმოადგენს. თუმცა საქართველოსთვის აღნიშნული, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია. საქართველოში არ ფუნქციონირებს ბევრი მსხვილი ადგილობრივი კომპანია, რომელიც მულტინაციონალურ კომპანიებად ჩაითვლებოდა და რომელთაც ისეთი მოცულობის შემოსავლებს მოიტანდა, რომ შესაძლებელი გახდებოდა ეკონომიკაში რეინვესტირება. თუმცა, ვიდრე ასეთ მსხვილ კომპანიებს ჩაეყრება საფუძველი, საჭიროა დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ამისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი სწორედ უცხოური ინვესტიციებია.

უცხოური ინვესტიციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს უმუშევრობის პრობლემის მოგვარებისათვის. უცხოური კაპიტალდაბანდებები წარმოქმნის ახალ ბიზნესებს და მეტი სამუშაო ადგილის შექმნის შესაძლებლობაა. საქართველოში ყველაზე პერსპექტიულ დარგებად შეიძლება ჩაითვალოს ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი და კომუნიკაციები. თუმცა ისინი საჭიროებენ სახელმწიფოს მხარდაჭერას, რომელიც უნდა გამოიხატოს მოქნილი საკანონმდებლო ბაზისა და საგადასახადო სისტემის შექმნაში, ან თუნდაც გარკვეული შეღავათების დაწესებაში, იმისათვის რომ მოხდეს ამ დარგებში ინვესტიციების მოზიდვა, რომელიც ააღონძინებს მათ და უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას სოფლის მეურნეობის დარგში. ქვეყანაში

სტაბილური ეკონომიკური განვითარება, საგადასახადო განაკვეთების, ლიცენზიებისა და ნებართვების შემცირებული რაოდენობა, ასევე გეოგრაფიული მდებარეობა, კვალიფიციური სამუშაო ძალა და სხვა ფაქტორები შესაძლებელს ხდის მეტი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. თუმცა, აუცილებელია ინვესტირების სახელმწიფო–სამართლებრივი რეგულირება, რამაც უნდა უზრუნველყოს მისგან მაქსიმალურად ეფექტიანი შედეგების მიღება.

სოფლის მეურნეობის აღორძინებისთვის მნიშვნელოვანია ეფექტური რეფორმების გატარება, მათ შორის საინვეტიციო საქმიანობის ხელშეწყობა დარგში. საქართველოსთვის სოფლის მეურნეობა ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, რადგან მას ეკონომიკურთან ერთად სოციალური ხასიათიც გააჩნია. წლების მანძილზე ფინანსების უკმარისობამ მნიშვნელოვნად შეასუსტა აგრარული სექტორი და სოფლები გაღარიბდა. სოფლის მეურნეობას ჯერ კიდევ დაბალი მწარმოებლურობა ახასიათებს. ცხადია, ფინანსების სიმცირემ დღის წესრიგში დააყენა უცხოურ ინვესტიციათა აუცილებლობა. ამ უკანასკნელს უნდა დაეძლია ეს სიღარიბე, თუმცა დიდი წარმატება ვერ იქნა მიღწეული. პრობლემური აღმოჩნდა მთელი რიგი ფაქტორებისა: პოლიტიკური არასტაბილურობა, უცხოელ ინვესტორთა და ადგილობრივებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტები, მიწასთან დაკავშირებული პრობლემები, არასრულყოფილი საკრედიტო სისტემები და სხვა. აგრარული სექტორის მნიშვნელობას ზრდის ის ფაქტიც, რომ სოფლის მეურნეობაში იწარმოება შუალედური პროდუქტები, რომელიც შემდგომ გამოიყენება გადამამუშავებელ სექტორში.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ვერც მევენახეობა-მეღვინეობის, ციტრუსთა, ჩაის ან სოფლის მეურნეობის სხვა რომელიმე პროდუქციის მოცულობის ზრდა, პირიქით, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლიდან დღემდე ზოგიერთი წლის განმავლობაში ხდებოდა მისი მნიშვნელოვანი შემცირება. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში შეინიშნება სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების რაოდენობის ზრდა, საბოლოო ჯამში მაინც არაა საკმარისი ამ დარგის საბოლოო განვითარებისათვის. ამასთან რადგანაც საქართველოს მოსახლეობის თითქმის 50% სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული, აღნიშნული სფერო განვითარების გზაზე მყოფი ქვეყნისათვის პრიორეტული უნდა გახდეს.

ზოგადად, ეკონომიკის სექტორების მიხედვით უცხოური ინვესტიციები არათანაბრად ნაწილდება (იხ. ცხრილი №6). 2018 წელს სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) თითქმის 50.0 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორსში განხორციელდა, მეორე ადგილზეა ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ხოლო მესამეზე-ენერგეტიკა.

უცხოური ინვესტიციების განაწილება სექტორების მიხედვით (მონაცემები ათას ლარებში[8])

ცხრილი № 6

	2015	2016	2017	2018
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	18 591,3	8 354,8	12 386,8	15 939,5
სამთომოპოვებითი მრეწველობა	88 027,8	49 730,7	51 769,0	66 705,3
დამამუშავებელი მრეწველობა	98 352,5	125 615,6	98 610,8	142 318,3
ენერგეტიკა	123 659,9	144 954,0	224 126,1	157 151,2
მშენებლობა	143 551,0	168 734,1	283 100,6	103 635,4
სასტუმროები და რესტორნები	141 370,2	56 115,4	72 238,7	72 322,5
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	587 466,6	635 769,3	489 536,5	174 659,7
მათ შორის:				
ტრანსპორტი	608 115,4	576 044,7	472 567,0	209 903,4
კავშირგაბმულობა	-20 648,8	59 724,6	16 969,5	-35 243,7
ჯანმრთელობის დაცვა და სოც. დახმარება	140 326,0	29 543,4	7 228,0	13 163,2
უძრავი ქონება[1]	91 403,3	49 564,6	182 172,5	90 019,3
საფინანსო სექტორი[2]	201 963,9	141 149,3	302 590,7	277 855,0
დანარჩენი სექტორები[3]	30 845,1	156 306,5	170 731,7	118 678,5
სულ:	**1 665 557,6**	**1 565 837,6**	**1 894 491,3**	**1 232 447,9**

2018 წელს, პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა სოფლის მეურნეობაში შეადგინა 15.9 მლნ აშშ დოლარი. მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი პუი 2018 წელს შემცირდა 2017 წელთან შედარებით, ინვესტიციები სოფლის მეურნეობის სექტორში მნიშვნელოვნად გაიზარდა (28.2%-ით). 2018 წელს, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სოფლის მეურნეობაში დაფიქსირდა მეორე კვარტალში, ხოლო პირველ კვარტალში დაფიქსირდა მცირე ოდენობით კაპიტალის გადინება (უარყოფუთი პუი), რასაც შემდეგ მოჰყვა მნიშვნელოვანი ზრდა მომდევნო კვარტლებში. იმის გათვალისწინებით, რომ

[8] http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo

მომავალში საკვებ პროდუქტებზე მოთხოვნა გაიზრდება, სოფლის მეურნეობაში ინვესტიციები ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია სექტორში წარმოების ზრდისთვის.

ტრადიციულად, პუი სოფლის მეურნეობაში ძალიან დაბალია სხვა სექტორებთან შედარებით. ბოლო ათწლეულის მანძილზე სოფლის მეურნეობის წილი საქართველოს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში მერყეობდა 0.5%-დან 1.5%-მდე. გამონაკლისი იყო 2009 წელი, როდესაც სოფლის მეურნეობის წილი შედარებით მაღალი იყო. 2009 წელს 2008-სთან შედარებით, სოფლის მეურნეობის წილმა მთლიან პუი-ში შეადგინა 3.4% და თან გაორმაგდა აბსოლუტური მნიშვნელობით (10.6 მლნ. აშშ დოლარი იყო 2008 წელს და 22.6 მლნ. აშშ დოლარი - 2009 წელს). 2018 წელს ინვესტიციებმა სოფლის მეურნეობაში შეადგინა მთლიანი რაოდენობის 1,3%. დაბალი ინტერესი სექტორის მიმართ გამოწვეულია მიწასთან დაკავშირებული შეზღუდვებით, მოძველებული ტექნოლოგიებით, არაკომერციული მწარმოებლების სიმრავლით, საკონტრაქტო ურთიერთობების ნაკლებობითა და დარგის სპეციალისტების სიმწირით. ფასებს რაც შეეხება, წინა თვესთან შედარებით, ფასების დონე საქართველოში მცირედით გაიზარდა; 2019 წლის მარტში სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი) უმნიშვნელოდ 1.0%-ით გაიზარდა 2019 წლის თებერვალთან შედარებით. 2018 წლის მარტთან შედარებით კი, სფი 3.7%-ით გაიზარდა.



დიაგრამა 3

ცხადია, აღნიშნული მაჩვენებლები აგრარული სექტორისთვის საგანგაშოა. ვინაიდან, ითვლება რომ საქართველოს სოფლის მეურნეობას ძალიან დიდი პოტენციალი აქვს და ეკონომიკის აღორძინებაში დიდი წვლილის შეტანა შეუძლია. თუმცა, დარგშივე არსებული გარკვეული პრობლემების გამო ის ინვესტორთათვის მიმზიდველი არ არის. სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, დიდი ზომის მეურნეობების არსებობა (50 ჰა და მეტი), თუმცა საქართველოს შემთხვევაში მეურნეობების ძირითადი ნაწილი, 85% მცირე მიწიანია და მათი ფართობი 5 ჰექტარზე ნაკლებს შეადგენს. სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისთვის ურბანიზაციის ზრდა და დიდი მეურნეობების შექმნაა მნიშვნელოვანი. ამავდროულად, დარგის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ინოვაციების არარსებობა.

სოფლის მეურნეობაში, წლების მიხედვით, ჩადებული ინვესტიციები რაიმე განსაკუთრებული ტენდენციით არ ხასიათდება: არ იკვეთება არც აღმავლობა, არც ვარდნა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს 2009 წელს. ამ წელს განხორციელებული უცხოური კაპიტალდაბანდებები 22326,9 ათასი აშშ დოლარი გამოწვეულია აგვისტოს ომის შედეგად და არ ასახავს მხოლოდ უცხოელ ინვესტორთა ინტერესებს (მათ მიზნებს), აქ გარკვეული დახმარებებიც გაითვალისწინება, რითაც სხვა ქვეყნები „დაეხმარა“ საქართველოს კრიზისული პერიოდის დროს. შედარებით სტაბილური გამოდგა 2011 და 2012 წლები, ხოლო 2016 წელს უცხოურმა ინვეტიციებმა წინა წლის მონაცემის მხოლოდ 45% შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ 2017 წელს დაბანდებათა მოცულობა გაიზარდა 12386,8-მდე ათასი აშშ დოლარი, ეს იმის გარანტიას არ იძლევა რომ 2018 წელს მზარდი ტენდენცია გაგრძელდება.

სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ინვესტიციები 2007-2018 წწ.[9]

ცხრილი N 7

წლები	ათასი აშშ დოლარი
2007	15330,9
2008	10612,7
2009	22326,9
2010	8631,9
2011	16837,8
2012	16119,3
2013	12993,4
2014	12290,3
2015	18591,3
2016	8354,8
2017	12386,8
2018*	15939,5

სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებას ქვეყანაში ხელს უშლის სოფლის მეურნეობის დაკრედიტების დაბალი დონე. კომერციული ბანკები, დარგში არსებული მაღალი რისკების გამო, ხშირად თავს იკავებენ აგრარული სექტორის დაკრედიტებისაგან. ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანეს დარგზე საბანკო კრედიტების 2%ზე ნაკლები მოდის. თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში ფერმერებზე განსაკუთრებით ზრუნავენ, რაც უწინარესად უპროცენტო სესხის გამოყოფით გამოიხატება.[10] გარდა აღნიშნულისა, აგრარულ სექტორში ინვესტიციათა დაბალი დონე შეიძლება აიხსნას რამდენიმე საბაზისო პრობლემათა არსებობით.

[9] Moa.gov.ge სოფლის მეურნეობის სამინისტრო

[10] T.Lazariashvili. 2017 Consumer Market of Agricultural Products and Agricultural Policy in Georgia; World Academy of Science, Engineering and Technology, International Science Index 130 G. Erkomaishvili, M. Kobalava, **T. Lazariashvili**, M. Saghareishvili ; International Journal of Social, Behavioral, Educational, Economic, Business and Industrial Engineering, 11(10), 2017. გვ.225-229.

ფასები და წარმოება. ცხადია, აგრარულ სექტორში განხორციელებული ინვეტიციები გავლენას ახდენს სხვა ისეთი სექტორების განვითარებაზეც, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში გამოიყენებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. მაგალითად, ასეთია დამამუშავებელი მრეწველობა, სასტუმროების და რესტორნების სექტორი. სოფლის მეურნეობის სექტორში განხორციელებული ინვესტიციები ასეთი სექტორების წარმოებას საშუალოდ 31%-ით ზრდის, და ბუნებრივია, რომ ყველაზე ცხადად დადებით ეფექტი დამამუშავებელ მრეწველობაზე აისახება. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქცია ძირითადად შინამეურნეობებისთვის გამოიყენება, ამ სექტორში მიმართულმა ინვესტიციებმა აუცილებლად უნდა გაზარდოს წარმოების მოცულობა. ეს ფაქტი კი ვაჭრობაზეც დადებითად უნდა აისახოს და შედარებით შემცირდეს თვითმოხმარების დონე. სოფლის მეურნეობაში არსებული მდოგმარეობის გაუმჯობესება აისახება მრეწველობაზე, ვაჭრობაზე და შედარებით შეამცირებს აგროპროდუქტთა ფასებს. შემცირებული ფასი მონათესავე სექტორებსაც ფასის შემცირებისკენ უბიძგებს, ეს კი თავის მხრივ გაზრდის რეალურ შემოსავლებს. ასეთ პირობებში, გაზრდილი შემოსავლები გაზრდის სხვადასხვა პროდუქტთა მოთხოვნას. ფასები დაბალანსდება, ვინაიდან, გაზრდილი მოთხოვნა ისევ ასწევს მათ.

ზოგადად, სოფლის მეურნეობა უფრო მჭიდრო კავშირშია სხვა დარგებთან, ვიდრე დანარჩენი დარგები ერთმანეთთან. ეს გარემოება ერთის მხირვ გამოწვეულია იმით რომ, საქართველოში წარმოებული აგროსურსათი ძირითადად ადგილობრივ ბაზრდებზე იყიდება.

უმუშევრობა. სტატისტიკური მონაცემებით, 2018 წლისათვის საქართველოში დაახლოებით 245 000 უმუშევარი ადამიანი იყო. უმუშევრობა თბილისში უფრო მაღალია, ვიდრე სხვა რეგიონებში (იხ. დიაგრამა 4), მაგრამ სწორედ დედაქალაქში ჩადიან სამსახურის საძებნელად. ბოლო მონაცემებით, კი სოფლად უმუშევრობა დაახლოებით 5%-მდეა, თუმცა იქ სამუშაოს საძებნელად არავინ მიდის. თვითდასაქმებულ ადამიანებს, რომლებიც სოფლად არიან, მწირი შემოსავალი აქვთ. სტატისტიკურად, 2009 წლის შემდეგ უმუშევრობას კლებადობის ტენდენცია აქვს. მაგრამ, ოფიციალური სტატისტიკა იმის საშუალებასაც იძლევა, რომ ფარული

უმუშევრობა გამოვლინდეს. არსებითი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში თვითდასაქმებულთა წილი საქართველოში თითქმის საერთოდ არ შეცვლილა და შიდამიგრაციული ნაკადებიც საკმაოდ მცირეა.



დიაგრამა 4.

სოფლიდან ქალაქად (ან პირიქით) მიგრაცია იმ მასშტაბით არ ხდება, რაც სასურველი იქნებოდა, ეს კი ბევრ სხვადასხვა პრობლემაზეა გადაჯაჭვული. სოფლად შედარებით ჩაკეტილი სივრცეა და ერთი მხრივ, არ აქვთ შესაძლებლობა, რომ შესაბამისი განათლება ან/და პროფესიული გადამზადება მიიღონ, ხოლო შედგომ კი დასაქმდნენ. კიდევ ერთი ძირითადი პრობლემა ის არის, რომ სოფელსა და ქალაქს შორის ხარჯები რადიკალურად არის განსხვავებული და ის ქალაქში გაცილებით მაღალია. პიროვნება, რომელიც წყვეტს წამოვიდეს თუ არა სოფლიდან ქალაქში, თავისი კვალიფიკაციისა და უნარჩვევების პირობებში, ვერ პოულობს ისეთ მაღალანაზღაურებად სამსახურს, რომელიც ამ განსხვავებას დაფარავს. შესაბამისად, მან შესაძლოა ისევ სოფელში კვლავ დაბალშემოსავლიან პირობებში დარჩენა ამჯობინოს.

ექსპორტი და იმპორტი. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ აგრარულ სექტორში წარმოებული პროდუქტები, როგორც აღინიშნა, ძირითადად სოფლად მცხოვრები ოჯახების თვითმოხმარებას ემსახურება.

აგრარული პროდუქტების ექსპორტი და იმპორტი[11]

ცხრილი N 8

	2015	2016	2017	2018*	2019 (I კვ.)
ექსპორტი	20,867.1	19,835.2	26,796.7	32,688.3	7,211.3
იმპორტი	53,146.4	39,669.0	49,303.6	44,655.1	9,145.1

შენიშვნა: ცხრილში პროდუქტთა ფასები წარმოდგენილია ათასი აშშ დოლარით. ასევე გასათვალისწინებელია, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტებთან ერთად გაანგარიშებულია სატყეო და თევზის მეურნეობა.

მოცემული ცხრილიდან ჩანს, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში ექსპორტის მოცულობამ აგრარულ სექტორში მაქსიმუმს მიაღწია გასულ 2018 წელს- 32,688.3 ათასი აშშ დოლარი, მაჩვენებელი გაზრდილია თითქმის 22%-ით წინა წელთან შედარებით. შესაბამისად დაბალი იყო 2017 წელს- 26,796.7 ათასი აშშ დოლარი. რაც შეეხება იმპორტირებულ აგროსურსათს. გასული ოთხი წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2015 წელს- 53146,4 და სამწუხაროდ მომდევნო წლებში შემცირებულია. 2016 წელს 2015 წელთან შედარებით დაფიქსირდა 34%-იანი ვარდნა, ხოლო 2017 წელს- 8%-იანი შემცირება (იხ. ცხრილი № 8). გასულ 2018 წელს წინა წელთან შედარებით აგრარული პროდუქციის იმპორტი შემცირებულია 10%-ით.

სოფლის მეურნეობა ისეთი დარგია, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართული ეკონომიკის განვითარებაში. უდავოა, რომ საჭიროა ამ დარგის განვითარების ხელშეწყობა, მეტი ინვესტიციების მოზიდვისთვის შესაფერისი გარემოს შექმნა. საქართველოს ამ დარგის განვითარებით შეუძლია სიღარიბის დაძლევა. საჭიროა საკმაოდ დიდი კვლევისა და ანალიზის ჩატარება, კერძოდ როგორ და რომელ სექტორებში იქნება ეფექტური კაპიტალდაბანდებები. რეალობა ის არის, რომ

[11] საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველო უფრო მეტ იმპორტირებულ საქონელს მოიხმარს ვიდრე აწარმოებს. აგრარულ სექტორში განხორციელებული ინვესტიციების ზრდა მხოლოდ წარმოებასა და უმუშევრობას არ შეეხება. მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტი იქნება ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ცხოვრების დონის ამაღლება. მხოლოდ ამგვარი მიდგომით და და დეტალური გაანალიზებით მოხდება მნიშვნელოვანი წინ სვლა აგრარული სექტორის განვითარებისთვის.

.

თავი მესამე. საინვესტიციო გარემო და ინვესტიციების მოზიდვის პრიორიტეტები საქართველოში

3.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შემაფერხებელი ფაქტორები აგრარულ სექტორში

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შემაფერხებელი ერთ-ერთი ძლიერი ფაქტორი არის სარგებლის მაღალი განაკვეთები ქვეყანაში. გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ ქვეყანაში საპროცენტო განაკვეთებმა საგრძნობლად დაიკლო და ჩატარდა მთელი რიგი ღონისძიებებისა, საბანკო სფეროს დასახვეწად. თუმცა, საპროცენტო განაკვეთები ჯერ კიდევ მაღალი რჩება და ბევრი უცხოელი ინვესტორისათვის არასასურველია. ხშირად ინვესტორები სწორედ ამის გამო იკავებენ თავს კაპიტალის დაბანდებისაგან. სტატისტიკურად ბოლო ათი წლის განმავლობაში საპროცენტო განაკვეთების ყველაზე დაბალი მაჩვენებლები 2017 წელს ფიქსირდება (იხ. ცხრილი №9).

ეროვნულ ვალუტაში გამოსახული მაჩვენებლებით 2017 წელს გრძელვადიანი სესხები გაიცემოდა საშუალოდ 16.1 %-ით (ცხადია, სხვადასხვა კომერციულ ბანკში სხვადასხვა პროცენტია), ხოლო უცხოურ ვალუტაში-8.8%. რაც შეეხება მოკლევადიან სესხებს. შესაბამისად ეროვნულ ვალუტაში 21.6%, ხოლო უცხოურში-9.3.

საპროცენტო განაკვეთები საქართველოში, ისევე როგორც სხვა მრავალ განვითარებად ქვეყანაში მაღალია. შესაბამისად მასზე ყველა მსურველს ხელი ვერ მიუწვდება და ეს გარემოება აფერხებს ბიზნეს სექტორის განვითარებას.

საპროცენტო განაკვეთების მაჩვენებლები 2007-2017 წლებში[12]

ცხრილი N 9

	ეროვნული ვალუტით			უცხოური ვალუტით		
	სულ	მოკლევადიან სესხებზე	გრძელვადიან სესხებზე	**სულ**	მოკლევადიან სესხებზე	გრძელვადიან სესხებზე
2008	21.8	22.3	21.4	17.1	20.2	16.3
2009	23.6	25.0	22.8	18.1	22.4	17.0
2010	22.6	24.9	21.0	17.2	20.5	16.4
2011	22.6	26.6	19.5	14.9	16.7	14.5
2012	22.1	26.2	19.4	14.4	16.2	14.1
2013	20.7	24.7	18.1	13.5	14.6	13.2
2014	18.2	22.5	15.9	11.9	12.6	11.7
2015	17.6	21.9	15.7	10.8	11.7	10.6
2016	18.3	23.7	16.5	10.0	10.6	9.9
2017	17.3	21.6	16.1	8.9	9.3	8.8
2018	17.5	21.0	16.7	8.4	8.9	8.3

უნდა აღინიშნოს, საფონდო ბირჟის გაუმართაობა, რაც უცხოელ ინვესტორთა ყურადღების ცენტრში აუცილებლად ხვდება. საქართველოში საფონდო ბირჟამ ფუნქციონირება 2000 წლის დასაწყისში დაიწყო, ამერიკელ ექსპერტთა ფინანსური მხარდაჭერით. საფონდო ბირჟის განუვითარებლობის ყველაზე ცხადი მიზეზია, მისი „სიახლე“ ქართულ ეკონომიკაში. არ არის დახვეწილი შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც გარკვეულ რეგულირებას გაუწევდა ამ ბაზრის ფუნქციონირებას. კომპანიებს არ აქვთ შესაძლებლობა, კაპიტალი მოიზიდონ აქციების და ობლიგაციების ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვით, აქედან გამომდინარე, სახსრების მოზიდვის ერთადერთი გარე წყაროა საბანკო კრედიტი, რომელიც მაღალი საპროცენტო განაკვეთების პირობებში ძვირი რესურსია. თუმცა, სახელმწიფო დაინტერესებულია საფონდო ბირჟის განვითარებაში და შესაბამისი ადმინისტრაციული ნაბიჯების

[12] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გადადგმის შედეგად, შესაძლოა ფინანსური ბაზრის ამ ნაწილის განვითარება ქვეყნის სასიკეთოდ.

კიდევ ერთი ძირეული პრობლემა, რაც აფერხებს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოსვლას, არის ეროვნული ვალუტის არასტაბილურობა. აღნიშნული ინვესტორებისთვის ძალიან დიდ რისკს წარმოადგენს. არასტაბილური ვალუტის პირობებში, არათუ ინვესტირება წარმოადგენს მაღალი რისკს არამედ, ფაქტობრივად შეუძლებელია ბიზნესის კალკულაცია - როგორი უნდა იყოს ფასი ერთი თვის, ან ერთი წლის შემდეგ. ეროვნული ვალუტის სისუსტე გადამდებია მთელი ეკონომიკისთვის და ასევე სერიოზული სიგნალია ინვესტორებისთვის. როგორც მოცემული მონაცემებიდან ჩანს ეროვნული ვალურის კურსი სწრაფად გაიზარდა 2014 წლიდან. 2017 წელს დოლართან მიმართებაში შეადგინა 2.5092 ლარი, ხოლო ევროსთან- 2.8320 ლარი (იხ. ცხრილი 10). თუმცა, 2017 წელს ლარის კურსი მთელი პერიოდის განმავლობაში იცვლებოდა.

კურსის ცვლილება წლების მიხედვით დოლართან და ევროსთან მიმართებაში

ცხრილი N 10

	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
დოლარი	1,686	1,651	1,663	1,766	2,269	2,371	2,509	2,535
ევრო	2,348	2,124	2,209	2,346	2,519	2,619	2,832	2,992

იმავე წლის 1 იანვრის მონაცემებით 1 აშშ დოლარის ღირებულება 2.6468 ლარს შეადგენდა, 1 ევროს ღირებულება - 2.7940-ს. სულ რაღაც 1 კვირაში ლარი მკვეთრად გაუფასურდა. დოლარის ღირებულება 2.7674-ს გაუთანაბრდა, ევროს ფასი 2.9324. კურსი რამდენიმე დღეს ინარჩუნებდა მდგომარეობას და შემდეგ ეტაპობრივად გამყარება დაიწყო. პირველი მარტისთვის ლარი დოლართან მიმართებაში 2.55-მდე გამყარდა. ევროსთან მიმართებაში 2.7-მდე. მაისის თვიდან აგვისტოს ჩათვლით ლარი დოლართან მიმართებაში 2.40-2.45-ის ფარგლებში მერყეობდა. ვალუტის კურსზე უმარავი ფაქტორი მოქმედებს: სავაჭრო ბალანსი, ინვესტიციები, გადმორიცხვები

საზღვარგარეთიდან, ფულის მასა, ტურიზმი, ბიუჯეტის ხარჯვა ასევე გრანტები და უცხოური კრედიტები. მათგან სეზონური მხოლოდ ტურიზმია. თუ იანვარში სახელმწიფო საზღვარი სულ 387 ათასმა პირმა გადმოკვეთა, საიდანაც ტურისტი 154 ათასი იყო, აგვისტოში ეს მაჩვენებლები შესაბამისად 1.08 მილიონსა და 573 ათასამდე გაიზარდა. სექტემბრიდან ლარმა ისევ გაუფასურება დაიწყო. 1 სექტემბერს 1 დოლარი 2.43 ლარი ღირდა, 1 ოქტომბერს, 2.48 ლარი, უკვე პირველ ნოემბერს კი 2.61 ლარი. ნოემბრის თვეში დოლარი კიდევ 10 თეთრით 2.72-მდე გაძვირდა. დეკემბრის პირველი 2 დეკადა ლარი მყარდებოდა. 21 დეკემბერს დოლარის ღირებულება 2.53-მდე ჩამოვიდა, ამის შემდეგ ლარი 1 კვირის განმავლობაში 8 თეთრით გაუფასურდა, წლის ბოლომდე კი 2 თეთრით გამყარდა.

ვალუტის კურსზე დიდ გავლენას ახდენს მოლოდინები. როდესაც ლარის გაუფასურების ტენდენცია შეინიშნება, მოსახლეობა კიდევ უფრო დიდ გაუფასურებას ელის და წინასწარ ყიდულობს უცხოურ ვალუტას, როგორც წესი უმეტესად დოლარს, დოლარზე მოთხოვნის ხელოვნური ზრდა, ვალუტას კიდევ უფრო აძვირებს. იგივე ხდება საპირისპირო შემთხვევაშიც. ლარის გამყარების მოლოდინში, მოსახლეობა იშორებს დოლარს და მცირე დროით ლარი კიდევ უფრო მყარდება.

ყველაზე მთავარი მიზეზი, რის გამოც უცხოური ინვესტიციები არ იზრდება აგრარულ სექტორში, არის ადამიანური კაპიტალის დაბალი კვალიფიკაცია და ცხოვრების საკმაოდ დაბალი დონე. საქართველო არის ერთ-ერთი იმ ქვეყანათაგანი, რომლებიც კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით უკანასკნელ ადგილებზეა. ამ მოვლენის ძირითადი გამომწვევი ფაქტორებია:

- განათლების სისტემის ხარვეზები,
- დაბალი ტექნოლოიური უნარჩვევები,
- ფინანსური სერვისების დაბალი ხელმისაწვდომობა ფერმერთათვის, სესხების დაბალი ხელმისაწვდომობა და სხვა.

ერთ-ერთი ძირეული პრობლემაა ადამიანური რესურსების დაბალი მწარმოებლურობა. მიუხედავად იმისა რომ გასულ ათწლეულთან შედარებით აგრარულ სექტორში უკეთესი მდგომარეობაა დღეს, სოფლად მცხოვრებ მეწარმეთა

განათლების დონე მაინც საკმაოდ დაბალია. ამასთან ისინი დიდი სირთულით იღებენ ახალ გამოწვევებს, იქნება ეს ტექნიკა თუ წარმოების ახალი ტექნოლოგიები, მათთვის ნაკლებად საინტერესოა ინვესტირების მოვლენა და უჭირთ უცხოელ ინვესტორებთან „ურთიერთობა“.

გამომდინარე აქედან, ნათელი ხდება რატომ არ ინტერესდებიან ინვესტორები აგრარულ სექტორში კაპიტალის დაბანდებით. მათთვის საკმაოდ მაღალი რისკის ფაქტორები იკვეთება, და პოულბენ სხვა ისეთ დარგებს, რომელთაც ნაკლები განვითარება სჭირდება და მოგებასაც უფრო მოკლევადებში მიიღებენ.

პოლიტიკური მდგომარეობა და კონფლიქტური ტერიტორიების არსებობა მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია უცხოელ ინვესტორთათვის. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდგომ ქართულმა ეკონომიკამ უამრავი რეფორმა გაიცნო. ზოგიერთი მათგანი ბოლომდე გატარებულ იქნა, ზოგიერთიც კი გარკვეული მიზეზებით შეწყდა. ამავე პერიოდის მანძილზე არა ერთხელ შეიცვალა პოლიტიკური მდგომარეობა. თუმცა, მოკლე პერიოდებში რეფორმათა ცვლილებები არც ისე დადებითად აისახა ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

უცხოელ ინვესტორთათვისაც, სახელმწიფოს ზოგიერთი პოზიცია, შესაძლოა სასურველი იყოს, შეიძლება-არა. მათთვის რთულია მოერგონ ქვეყნის ახალ კურსს, როცა გასულ თვეში, ან თუნდაც კვირაში სხვა გეგმები ისახებოდა. ამიტომ, ცხადია, ზოგიერთი ნაკლებ რისკიანი ინვესტორი სხვა საინტერესო ალტერნატივებს პოულობს და თავს იკავებს კვლავ საქართველოში სახსრების ინვესტირებისაგან.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ამ კონფლიქტების მოგვარება, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საინვესტიციო კლიმატისთვის. კონფლიქტების მინიმუმამდე დაყვანა (უკეთეს შემთხვევაში აღმოფხვრა) დადებითად აისახება მთლიანად ეკონომიკურ გარემოზეც. საინვესტიციო გარემო სტაბილური უნდა იყოს ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ იგი უნდა იყოს საკმაოდ მოქნილი და ითვალისწინებდეს ეროვნულ ეკონომიკაში პერიოდულად ცვლილებებს. ამავდროულად, იგი მიმართული უნდა იყოს ქვეყნის თუ რეგიონის ეკონომიკის რესურს ფაქტორთა სისტემის ფორმირებისაკენ; ინვესტიციები მკაფიოდ უნდა უკავშირდებოდეს ადამიანისეული კაპიტალის განვითარებას. მჭიდრო კავშირში

უნდა იყოს მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლებასთან, რისი გათვალისწინებაც საჭიროა, ქვეყნის ან რეგიონის სათანადო საინვესტიციო გარემოს შექმნისთვის.

შეიძლება ითქვა, რომ საქართველოს საინვესტიციო გარემოში დღეისათვის არსებული ვითარება არასახარბიელოა. საქართველოში, საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღებისთვის მიზანშეწონილია ფულადსაკრედიტო პოლიტიკის შერბილება. ზედმეტად მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა როგორც წესი, აფერხებს საინვესტიციო აქტივობას. ასევე ქვეყანაში ინვესტირდება იმაზე ნაკლები სახსრები, ვიდრე იზოგება. ინვესტიციური გარემო თანამედროვე პირობებში საქართველოში სხვადასხვა მიზეზის გამო ძნელი შესაფასებელია. ქვეყნისათვის პრიორიტეტული უნდა გახდეს ის რესურსები, რომელიც ქვეყანას ბუნებრივად ბევრი აქვს. როგორც წესი, უცხოელი ინვესტორები პოზიტიურად აფასებენ ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნებას, საერთოდ ბუნებრივი რესურსების მოპოვებასა და დამუშავებაში მზად არიან დააბანდონ მნიშვნელოვანი თანხები.

სახელმწიფოს მხრიდან უნდა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები საინვესტიციო გარემოში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და გრძელვადიან პერსპექტივაში სტაბილურად მიმზიდველი გარემოს შესანარჩუნებლად. ამისთვის აუცილებელია რიგი ნაბიჯესბის გადადგმა: საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებები, სასამართლო სისტემის გაძლიერება, დ ა სხვა.

ქვეყანაში წარმოებულ საქონელს აქვს დაბალი დამატებული ღირებულება. შედარებით განვითარებულია მხოლოდ გადამამუშავებელი მრეწველობა, რომელიც პირდაპირი გზით დაკავშირებულია საქართველოში მოპოვებულ ბუნებრივ რესურსებზე და სოფლის მეურნეობის ადგილობრივ ნაწარმზე. ამ გარემოების მიზეზია ტექნოლოგიური განვითარების და ინოვაციის დაბალი დონე ქვეყანში, რომელიც ჯერ ისევ არადამაკმაყოფილებელია და დაბალია როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის დანახარჯები კვლევასა და განვითარებაზე, რაც ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო შეფასებასა და რეიტინგში. ინოვაციის გლობალურ ინდექსში 2013 წლის მონაცემით საქართველო მსოფლიოში 73-ე ადგილზე იყო 131 ქვეყანათა შორის. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის კუთხით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა, მოსახლეობის მიერ კომუნიკაციის ამ

საშუალების გამოყენების დონე კვლავ არადამაკმაყოფილებელია, ამ მხრივ საქართველოს 71 ადგილი ერგო. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ინოვაციური საქმიანობის და უახლესი ტექნოლოგიების ტრანსფერის და დანერგვის ხელშეწყობა. ასევე მნიშვნელოვანია გარემოს დაცვაზე ორიენტირებული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და მწვანე ეკონომიკის განვითარების წახალისება. ინოვაციის მხარდაჭერისთვის, მთავრობის მხრიდან დაწყებულია შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების და სათანადო კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მომზადების ღონისძიებები. ამასთან, სამომავლოდ მოხდება კვლევის და განვითარებისთვის აუცილებელი დამხმარე ინფრასტრუქტურის სრულყოფა საგანმანათლებლო დაწესებულებების და კვლევითი ლაბორატორიებისთვის.

ინოვაციების და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებისთვის, საქართველოს მთავრობა წაახალისებს ისეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, რომელიც მიმართული იქნება მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანასა და დანერგვაზე, განსაკუთრებით კი, გარემოს დაცვაზე ორიენტირებული რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვაზე და მწვანე ეკონომიკის განვითარებაზე. ტყის რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების პრაქტიკის დანერგვა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობას. საქართველოში სოფლის მეურნეობის დაბალი მწარმოებლურობის პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი გზა სწორედ სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების განხორციელებაა. აგრარულ სექტორში კაპიტალის ფორმირება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ნოუ-ჰაუს შემოტანა და განათლების ამაღლება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სადავო არავისთვისაა. საერთაშორისო დაფინანსებით ტყის მართვის თანამედროვე მოდელის დანერგვა და ინოვაციური ტექნოლოგიების შემოტანა შეამცირებს ტყის დეგრადაციით გამოწვეულ ხარჯებს და ხელს შეუწყობს ეკონომიკური სარგებლის ზრდას ტყეების ეკოსისტემური სერვისების გაუმჯობესების გზით. გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის პრინციპებიდან გამომდინარე საქართველო გაატარებს განვითარებული ქვეყნების მხრიდან ფინანსებითა და ტექნოლოგიებით მხარდაჭერილ კლიმატის ცვლილების „ეროვნულად მისაღებ შემარბილებელ ქმედებებს“, რაც, ასევე, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ენერგოდამზოგი, გარემოსადმი

კეთილგანწყობილი თანამედროვე ტექნოლოგიების შემოტანასა და დანერგვას [13]. ინოვაციების და ტექნოლოგიების სფეროში სახელმწიფოს მიერ გატარებული ასეთი პოლიტიკის მთავარ შედეგებს შორის მოიაზრება: კომპანიების მიერ ტექნოლოგიების პრაქტიკაში დანერგვის გაძლიერება, ბიზნესს შორის კავშირების გამყარება, ინოვაციების დონის ამაღლება და შედეგად ქართული ექსპორტის უფრო მაღალტექნოლოგიურ პროდუქციაზე ორიენტაცია.

სახელმწიფო საინვესტიციო რესურსების შეზღუდულობის პირობებში აუცილებელია ინვესტირების მიმართულებების ოპტიმალური შერჩევა. ქვეყანაში ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურებისა და სრულყოფის მიზნით ინვესტიციების ზუსტი აღრიცხვისა და ეფექტიანი გამოყენების თვალსაზრისით გონიივრული იქნება შეიქმნას ინვესტიციების ერთიანი მარეგულირებელი ორგანო. მართალია, დღეისათვის არსებობს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საქართველოს ინვესტიციების ეროვნული სააგენტო, რომელიც ამ მიმართულებით მუშაობს თუმცა, სტატისტიკა აჩვენებს რომ მისი მუშაობა არასაკმარისია. სასურველია სააგენტომ შეითავსოს ახალი ფუნქციები: ქვეყნის ინვესტიციური საქმიანობის მიზნების და ამოცანების განსაზღვრა; ინვესტიციური და ტექნიკური პრიორიტეტების ფორმირება, ინვესტიციური საქმიანობის სამართლებრივი ბაზის შექმნა და მის ფუნქციონირებაზე ორიენტირება, ქვეყნის ინვესტიციური საქმიანობის პროგნოზირება, ინვესტირების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და კონცეფციების შემუშავება; უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რეგულირება და განთავსება ქვეყნისათვის პრიორიტეტულ დარგებში ან შეიქმნას ახალი ორგანო რომელიც ამ მიზნებზე იმუშავებს.

ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობასთან ერთად, ხაზი უნდა გაესვას ადამიანური რესურსების გადამზადების საკითხს. ის რომ ქვეყანაში განათლების დონე იმაზე დაბალია, ვიდრე სასურველია, დიდი ხანია განხილვის საკითხს წარმოადგენს ქვეყანაში. თუმცა ამ ეტაპზე საჭიროა აქცენტი გაკეთდეს თავად დასაქმებულთა საკვალიფიკაციო დონეზე. საქართველოში აქტიურად ხელმძღვანელობენ ადამიანური რესურსების ზოგადი მართვის სტრატეგიებით.

[13] საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf

ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის მიზანია გაზარდოს ორგანიზაციის შესაძლებლობები თანამედროვე უნარების მქონე, ჩართული, მოტივირებული და საქმისადმი ერთგული თანამშრომლებით უზრუნველყოფის გზით. სტრატეგიულ მართვას ორი მთავარი ამოცანა აქვს: პირველი, მოხდეს ადამიანური რესურსების სტრატეგიისა და კორპორაციული სტრატეგიის ინტეგრაცია; მეორე, ჰქონდეს საერთო მიმართულება, რომ ორგანიზაციის კორპორაციული საჭიროებები და ორგანიზაციის თანამშრომლების მოთხოვნები სრულყოფილი და პრაქტიკული ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავება-შესრულებით დაკმაყოფილდეს. ადამიანები სწავლის პერიოდში ან სამუშაო პრაქტიკის განმავლობაში იძენენ, ინარჩუნებენ და იყენებენ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს (ადამიანური კაპიტალი) და ქმნიან ინტელექტუალურ კაპიტალს. მათი ცოდნა ღრმავდება ერთმანეთთან ურთიერთობითაც (სოციალური კაპიტალი), რაც ქმნის ინსტიტუციურ ცოდნას, რომელიც ხდება ორგანიზაციის საკუთრება. ამიტომ ორგანიზაციები გამუდმებით უნდა ზრუნავდნენ თავიანთი მუშახელის განვითარებაზე, კვალიფიციურ გადამზადებაზე. დასაქმებულებს უნდა შეეძლოს ახალი მეთოდოლოგიების და ტექნოლოგიების მიღება და გაანალიზება. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ გეგმაში, რომელშიც 2020 წლის მომავლის საქართველოა წარმოჩენილი, ხაზგასმულია ის მიმართულებები რაც უნდა განხორციელდეს საინვესტიციო გარემოს გასაუმჯობესებლად. მიუხედავად იმისა, რომ საინვესტიციო საქმიანობის შესახებ ქვეყანას რამდენიმე საკანონმდებლო აქტი გააჩნია, საკითხავია რამდენად შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობა ქვეყანაში მუდმივად ცვალებად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს და არსებულ რეალობას. სტრატეგიულ გეგმაში ხაზ გასმულია, რომ საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს არსებული საინვესტიციო კანონმდებლობის შეცვლას ახალი, საერთაშორისო ნორმებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი კანონმდებლობით. საკუთრების უფლების დაცვის გაძლიერების საკითხს დიდი ყურადღება ეთმობა, ვინაიდან ცნობილია რომ უცხოელ ინვესტორებს განსაკუთრებულად აწუხებთ აღნიშნული ფაქტორის გაუმართავობა. საკუთრების უფლება, უპირველეს ყოვლისა დაცულია საქართველოს კონსტიტუციით. კერძოდ, კონსტიტუციის 21-ე მუხლის თანახმად: „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების

ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.“ როგორც სასამართლოს განმარტებიდან ჩანს, სახელმწიფო ხელყოფისგან/შეზღუდვისგან დაცვასთან ერთად ევალება და ვალდებულია კიდეც, ხელი შეუწყოს საკუთრების უფლების თავისუფალ განკარგვას.

საკუთრების უფლების დაცვა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი გაცხადებული პრიორიტეტია. საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული საკუთრების უფლების დაცვის გაძლიერების მიზნით, მნიშვნელოვანია სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და მოსამართლეთა შემდგომი პროფესიული განვითარება. საკუთრების უფლების დაცვის კონტექსტში, ასევე მნიშვნელოვანია ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მექანიზმების სრულყოფა. ბიზნესის ეფექტური ფუნქციონირებისთვის პრიორიტეტულია სახელმწიფოს მიერ მიწოდებულ მომსახურებებზე ხელმისაწვდომობის ზრდა და ადმინისტრაციულ პროცედურებზე გაწეული დროითი დანახარჯების შემცირება. ამ მიზნით, საქართველოს მთავრობას მიზნად აქვს დასახული უზრუნველყოფს სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ გაწეული მომსახურებების გაუმჯობესება, მათ შორის, ელექტრონული მომსახურების განვითარება და ელექტრონული მმართველობის სისტემის გაფართოება. გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით კი, გაიზრდება საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, გაღრმავდება დიალოგი სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის, რამაც უნდა უზრუნველყოს ბიზნესის ჩართულობა ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების პროცესში.

როგორც უკვე აღინიშნა, შედარებით შემცირებული გადასახადთა რაოდენობა, მაინც ვერ გახდა მიმზიდველი უცხოელი ინვესტორებისათვის. მეტიც უცხოელ ინვესტორთა გამოკითხვით გამოიკვეთა რომ საგადასახადო პოლიტიკა მათთვის ხშირად ყველაზე დიდი პრობლემაა. საინვესტიციო გარემოს შემდგომი გაუმჯობესების და ბიზნეს საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, სახელწიფოს მიზნად აქვს დახვეწოს საგადასახადო ადმინისტრირების მექანიზმები, რაც, თავის მხრივ, ბიზნესს შეუმცირებს რეგულაციებთან შესაბამისობის ტვირთს. ასევე, უზრუნველყოფილი იქნება საგადასახადო კანონმდებლობის სტაბილურობა და გამჭვირვალობა.

სახელმწიფო სტრუქტურები ვარაუდობს რომ, ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებამ მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესოს ქვეყნის სამეწარმეო და საინვესტიციო გარემო, რაც გამოიხატება როგორც ახალი ბიზნესების დაფუძნებაში, არსებული ბიზნესების გაფართოებასა და დივერსიფიკაციაში, მცირე და საშუალო ბიზნესების განვითარებაში, უცხოური ინვესტიციების ნაკადების გაზრდაში, მწარმოებლურობის დონის ამაღლებაში, ასევე, ქვეყნის პოზიციების გაუმჯობესებაში შესაბამის საერთაშორისო რეიტინგებსა და შეფასებებში.

3.2 უცხოური ინვესტიციების პრიორიტეტები და აგრარული სექტორის მხარდაჭერის პროგრამები საქართველოში

დღეს საქართველო არის როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ბიზნესის წარმოებისათვის ხელსაყრელი ადგილი. ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობას გააჩნია ღირებული და მიმზიდველი საინვესტიციო შესაძლებლობები. ყოველწლიურად იზრდება ხარისხიან აგრარულ პროდუქციაზე მოთხოვნა. სოფლის მეურნეობის ეკონომიკური რესურსების პოტენციალი, მიწის ფონდის, სხვა ბუნებრივი რესურსებისა და შრომითი რესურსების ერთობლიობას ეყრდნობა. ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება არსებული რესურსებისა და პოტენციალის მიზანმიმართულ, გონივრულ მართვას. განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს იმ დარგების განვითარება, რომლებსაც გააჩნია პოტენციალი სამომავლოდ შექმნას ძირითადი საექსპორტო ზრდა. საჭიროა შემუშავდეს შესაბამისი სტრატეგიები რათა ქართულმა აგროსასურსათო პროდუქციამ ადგილი დაიმკვიდროს საერთაშორისო ბაზრებზე. საბოლოოდ აგრარული სექტორის განვითარებისაკენ მიმართულმა ღონისძებებმა მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს ქვეყნის პოპულარიზაცია და შემოსავლების დონე.

ქვეყნის ეკონომიკის აგრარული სექტორის განვითარება დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის სიმყარეზე. სოფლის მოსახლეობა უმეტეს შემთხვევაში, ვერ ახორციელებს წარმატებით საკუთარ სამეურნეო საქმიანობას. საშუალო და მცირე სასოფლო-სამეურნეო საწარმოების უმრავლესობა, როგორც წესი, ფუნქციონირებს არასტაბილურად და არ შესწევს კრედიტების აღების უნარი საინვესტიციო თუ ინოვაციური საქმიანობის დაფინანსებისათვის. ხშირ შემთხვევაში, მატ არ შეუძლიათ სრულფასოვნად განახორციელონ საკუთარი ვალდებულებები საკრედიტო ურთიერთობებში. შესაბამისად, ასეთი საწარმოები უმეტეს შემთხვევაში ვერ ერთვებიან ისეთ სახელმწიფო პროგრამებში, როგორიცაა „შეღავათიანი აგროკრედიტი“, „აწარმოე საქართველოში“ და სხვა პროგრამებში. ფინანსური მხარდაჭერის გარეშე ცხადია, საშუალო და მცირე სასოფლო-სამეურნეო საწარმოების არსებობა უკეთეს შემთხვევაში შესაძლებელია

მხოლოდ დაბალტექნოლოგიურ დონეზე, რაც საბოლოო ჯამში ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს მათ სამეწარმეო განვითარებას. ამიტომ, მიმდინარე პერიოდში სოფლის მოსახლეობის და ასევე, სასოფლო-სამეურნეო დარგების მდგომარეობა მნიშვნელოვნად აძლიერებს აგრარული სექტორის სახელმწიფო დაფინანსებისა და რეგულირების მოტივაციას.

მცირე და საშუალო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების გამართული საქმიანობისთვის ფუნდამენტალური მნიშვნელობა ენიჭება ისეთი ინფრასტრუქტურის არსებობას, რომელიც მოიცავს კოოპერაციულ ბანკებს, მეწარმეობის განვითარების ცენტრებს, სააგენტოებს, სახელმწიფო ფონდებს, საგარანტიო ფონდებს, საკონსულტაციო-სასწავლო ცენტრებს. სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა და რეგულირება უნდა ხორციელდებოდეს როგორც სპეციალური ინფრასტუქტურის მხარდაჭერის, ასევე საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტების მხარდაჭერის კუთხით. დღეს სოფლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა იმყოფება უკიდურესი გაჭირვებაში და არ გააჩნია სამეწარმეო პროექტების დაფინანსების ან თანადაფინანსების შესაძლებლობა, ამ გარემოებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მცირემიწიანობის პრობლემა.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პერიოდში საქართველოს მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით ხოციელდება რამდენიმე პროექტი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელ და შემნახველ საწარმოებში. აღნიშნული პროექტებით განსაზღვრული საწარმოო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის შეძენა ხდება სახელმწიფო ტენდერების საშუალებით, სადაც მონაწილეობას ხშირად იღებენ შუამავალი კომპანიები, რომელებიც ახდენენ სხვადასხვა ქვეყნებში წარმოებული მანქანა-დანადგარების შესყიდვას. ამასთან, სახელმწიფო შესყიდვების წესებით, შესასყიდ საწარმოო-ტექნოლოგიურ აღჭურვილობაზე ერთი და იგივე ტექნიკური პარამეტრებით წარმოდგენილ განაცხადებში უპირატესობა განისაზღვრება მხოლოდ დაბალი ფასის მიხედვით, რაც ხდება საფუძველი ქართულ საწარმოებში დაბალი ხარისხის პროდუქციის შემოტანის, ეს აზარალებს როგორც დაფინანსებული საწარმოების, ასევე ქვეყნის ინტერესებს და ემსახურება მხოლოდ შუამავალ კომპანიებს.

საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით ითვალისწინებს იმგვარი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს დარგში კონკურენუნარიანობის ამაღლებას, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების ზრდას, სოფლად სიღარიბის დონის დაძლევას. სტრატეგიის განხორციელების მიზნით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო ყოველწლიურად ამუშავებს შესაბამის მოკლევადიან ღონისძიებებს, რომლემაც მთლიანობაში უნდა უზრუნველყოს მცირე შინამეურნეობების ეკონომიკური გაძლიერება, სოფლის მეურნეობის განვითარება, მომგებიანი წარმოების ქსელის ჩამოყალიბება.

საქართველოს ხელი აქვს მოწერილი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე. ამ ბაზრებზე გასატანი პროდქციის უმეტესი წილი საშუალო და მსხვილმა საწარმოებმა უნდა აწარმოოს. რისთვისაც მნიშვნელოვანია საშუალო და მსხვილი ფერმერული მეურნეობების განვითარება და სტიმულირება. აღსანიშნავია, რომ სწორედ ასეთ საწარმოებს აქვს მეტი პოტენციალი დაეუფლოს ახალ ტექნოლოგიებსა და მიზნობრივად გამოიყენოს ცოდნა და გამოცდილება. ასეთი საწარმოები შეძლებენ კონკურენცია გაუწიონ იმპორტულ საქონელს და შესაბამისად წარმოების მასშტაბების ზრდას შეუწყოს ხელი. მაგრამ, ფაქტობრივად, დღეს საქართველოში ფერმერულ მეურნეობათა უმეტესობა მცირე მასშტაბებისაა და ორიენტირებულია მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ფერმერებისთვის და მეწარმეთათვის დროული და სრულყოფილად მიწოდებული ინფორმაცია დარგში ახალი ტექნოლოგიების შესახებ დადებით ზეგავლენას ახდენს წარმოების ეფეტიანობასა და პროდუქციის კონკურენუნარიანობაზე. თითოეული ფერმერის მიზანია, აწარმოოს ისეთი პროდუქცია, რაზეც მოთხოვნა არის ბაზარზე და მიიღოს რაც შეიძლება მეტი შემოსავალი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ქართული აგრარული სექტორისათვის აუცილებელია თანამედროვე მიდგომების, ტექნოლოგიების, მარკეტინგისა და მენეჯმენტის საკითხების ცოდნა, რაც შესაძლებელია უზრუნველყოს სასოფლოსამეურნეო საკონსულტაციო ცენტრებმა. ყოველივე ამის ორგანიზებისთვის

საჭიროა მეტი მოცულობის უცხოური ინვესტიციები. ინვესტიციები თავის უმთავრეს მიზნად ისახავს მოგების მიღებას, რისთვისაც ხდება საწარმოო აქტივების შეძენა და გამოყენება. ინვესტიციების დაბანდების დროს იქმნება რეალური საწარმოო სამძლავრები. ამ დროს ხდება წარმოების ფაქტორების შეძენა და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური ინვესტირება რეალურ აქტივებში სახსრების დაბანდებაა მოგების მიღების მიზნით, რომელიც დაკავშირებულია საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან „ნორმალური“ რისკის პირობებში.

ექსპორტზე ორიენტირებულ ფერმერებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია საერთაშორისო ბაზრებზე არსებული მოთხოვნის, ბარიერების, შეღავათების შესახებ, რათა ფერმერმა შეძლოს სწორად დაგეგმოს და განავითაროს წარმოება. დღეისათვის საქართველოს მასშტაბით 60-მდე მუნიციპალიტეტში ფუნქიონირებს საკონსულტაციო მომსახურების სააგენტოები. 260-ზე მეტი სპეციალისტი მზად არის მომსახურება გაუწიოს დაინტერესებულ ფერმერებს. სასოფლო სამეურნეო ექსტენციის ძირითადი ფუნქციაა დაეხმაროს ფერმერებს მიწისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო რესურსების ეგექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებაში, რაც მიიღწევა დროული კონსულტაციებით, ინფორმაციული უზრუნველყოფით და სწავლებით.

სასოფლო-სამეურნეო კონსულტაციის სამსახურის ფუნქციებში ასევე შედის კანონმდებლობასთან და გადასახადებთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირთა ინფორმირება. სამინისტროს გადაწყვეტილებებისა და პოლიტიკის, ასევე მიმდინარე პროგრამების, შეღავათების, შესახებ ინფორმაციული უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტებში მექანიზაციის ხელმისაწვდომობასა და მათი რაციონალური გამოყენების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ცხოველთა მოვლა-მოშენების თანამედროვე მეთოდების და ტექნოლოგიების პოპულარიზაცია, სხადასხვა ტრენინგების, სწავლების და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება და მონაწილეობა, სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა, საგანგებო სიტუაციათა ანალიზი და შეფასება და სხვა.

2005 წელს, საქართველოს მდგრადი განვითარებისა და ეფექტიანი მმართველობის წახალისებისათვის მიენიჭა ევროკავშირის პრეფერენციების განახლებული გენერალიზებული სისტემის (GSP+ სავაჭრო რეჟიმი) შეღავათები. ამით, საქართველო

გახდა ერთ-ერთი იმ 15 ქვეყანათაგანი, რომელიც სარგებლობს GSP-ის ახალი სქემის ბენეფიციარებით. [14] სტატუსის მიღების შედეგად, საქართველოს აქვს უფლება ევროკავშირის ქვეყნებში უბაჟოდ შეიტანოს 7000-ზე მეტი სახეობის პროდუქცია. ეს იმ პირობებში, რომ ევროპიდან შემოსული საქონელი ქართულ საბაჟოზე იბეგრება. ევროკავშირი პირველი რიგში ორიენტირებულია თავისი მოსახლობა მოამარაგოს ჯანსაღი და ხარისხიანი პროდუქციით, შესაბამისად ევროპულ ბაზრებზე დიდი ყურადღება ეთმობა სურსათის უვნებლობას და ქვეყანაში სურსათის უვნებლობის შესახებ საკანონმდებლო მოწყობას. ასე რომ, სამომხმარებლო ბაზრებზე შესულ პროდუქციას, ევროკავშირი საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს უყენებს, ისევე როგორც საკუთარ ტერიოტორიაზე წარმოებულ პროდუქციას.

საქართველოს აგრარული სექტორის განვითარებისათვის სტრატეგიულ მნიშვნელობას ატარებს მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრობა. ამჟამად, ორგანიზაციის წევრი არის 164 ქვეყანა. საქართველო 2000 წლის 14 ივნისს შეურთდა ამ რიცხვს, როგორც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანა. საქართველოს თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულება აქვს გაფორმებული თურქეთთან, საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან მათ შორის რუსეთთანაც. 2016 წლის სექტემბრიდან მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ჩინეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაზე[15]. ხელშეკრულება დაახლოებით 7 თვეში გაფორმდა და საქართველო შეუერთდა იმ 24 ქვეყნის რიცხვს, რომელთანაც ჩინეთი აწარმოებს თავისუფალ ვაჭრობას.

ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ამოქმედების შემდეგ საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას გაეხსნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც აერთიანებს 1.4 მილიარდ მომხმარებელს. ქართული მწარმოებლები ჩინეთის ბაზრებზე პროდუქციას დამატებითი საბაჟო გადასახადის გარეშე შეიტანს.

ყოველივე ეს გვაძლევს იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების დროს სოფლის მეურნეობაში, ყურადღება უნდა მიექცეს

[14] http://www.parliament.ge/uploads/other/22/22580.pdf
[15] http://fortuna.ge/saqartvelosa-da-chinets-shoris-tavisufali-vachrobis-khelshekruleba-gaformda/

არა მხოლოდ ქვეყნის შიდა ინფრასტრუქტურულ მოწყობასა და განათლების ამაღლებას, არამედ მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს მუშაობა საერთაშორისო ბაზრებზე პოტენციალის ზრდის უზრუნველყოფისათვის. სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიებმა უნდა იმოქმედოს აგრარული სექტორის სტაბილურ ზრდასა და განვითარებაზე.

ბოლო წლებში აგროსასურსათო იმპორტის ღირებულებამ ერთ მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმპორტის ზრდა ნიშნავს, რომ ადგილობრივი წარმოება შემცირების ტენდენციით ხასიათდება. შემცირდა თითქმის ყველა სახის პროდუქციის საკუთარი წარმოებით უზრუნველყოფის მაჩვენებლები, რაც საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს აგრარული სექტორისთვის.

საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური კურსიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ევროკავშრთან ურთიერთობების საკითხებს. 2018 წლის მონაცემებით, საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტირებულია 148.0 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 6%-ით აღემატება 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებლს, ხოლო 40%-ით აღემატება 2012 წლის მაჩვენებელს (იხ. დიაგრამა 5). აღსანიშნავია, რომ თხილის გარდა, დანარჩენი აგროსასურსათო პროდუქტების მთლიანი ექსპორტი აღნიშნულ პერიოდში 25.6 მლნ აშშ დოლარით (30%) გაიზარდა.



დიაგრამა 5

2018 წელს, ევროკავშირის ქვეყნებში ძირითადად ექსპორტირებულია: თხილი, როგორც პირველადი, ასევე გადამუშავებული სახით (36%), სპირტიანი სასმელები (29%), ღვინო (13%), მინერალური წყლები (11%) და სხვა.

2018 წელს ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში იმპორტირებულია 304.5 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 11%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (იხ. დიაგრამა 6). აგროსასურსათო პროდუქციის მთლიან იმპორტში ევროკავშირის ქვეყნების წილი შეადგენს 22%- ს. ძირითადად იმპორტირებულია: შაქარი (10%), სპირტიანი სასმელები (8%), ფრინველის ხორცი (7%), საკვები დანამატები (7%), სპირტიანი სასმელები (სპირტი 80 მოც.% ან მეტი) (6%), ცხოველების საკვები (5%), შოკოლადის ნაწარმი (3%), ალაოს ექსტრაქტი (3%) და სხვა.



დიაგრამა 6

სტატისტიკა მოწმობს, რომ საქართველოში არსებული რესურსების შესაბამისად წარმოებული სურსათის უმეტესი ნაწილი ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის დამაყოფილებას. ამიტომ ქვეყანა იძულებულია პროდუქციის უმეტესი წილი საზღვარგარეთიდან შემოიტანოს. ამ პრობლემის მოსაგვარებლად ბოლო სამი წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ექსპორტის წახალისების და იმპორტის ჩანაცვლების მიზნით. ერთ-ერთი უმთავრესი მიღწევა იყო 2014 წელს ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირთან, რომელიც ითვალისწინებს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის არსებობას და იძლევა მეტ ეკონომიკურ შესაძლებლობებს ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ევროკავშირის ბაზარზე გასასვლელად.

აგრარული სექტორის განვითარების ზრდის დაბალი ტემპები სხვადასხვა მიზეზებზეა დამოკიდებული. პრობლემათა შორის იკვეთება მოზიდული ინვესტიციების არასაკმარისი დონე, მიწების მაღალი სეგმენტაციის დონე, სუსტად განვითარებული გადამამუშავებელი მრეწველობა, თანამედროვე ტექნოლოგიების სიმცირე, საკრედიტო რესურსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა და სხვა.

გასული ათწლეული ინვესტიციების მოზიდვის მხრივ და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის თვალსაზრისით საკმაოდ წარმატებული იყო, თუმცა, გატარებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ მაინც ვერ უზრუნველყო დასაქმების ხელშეწყობა და ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება. მიუხედავად იმისა რომ ექსპერტთა მოლოდინით, უცხოური ინვესტიციების სამომავლოდ ზრდა არის მოსალოდნელი, და შესაბამისად აგრარულ სექტორშიც მისი წილი უნდა გაიზრდოს, არსებობს მთელი რიგი პრობლემებისა, რომლებიც აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარების ზრდას. მიუხედავად ამისა შესაძლოა გამოიკვეთოს 2017-2018 წელს გადადგმული დადებითი ნაბიჯები (2017 წლის წლიური ანგარიში, სოფლის მეურნეობის სამინისტრო):

- გადამამუშავებელ საწარმოთა კომპონენტის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით, 2014-2017 წლებში, „ბენეფიციარის თანადაფინანსების შესახებ“ ხელშეკრულება გაფორმებულია 40 პროექტის ბენეფიციართან, ჯამური საინვესტიციო

ღირებულებით 24,217,789 აშშ დოლარი და 4,257,803 ლარი, საიდანაც სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა 8,798,143 აშშ დოლარი და 600,000 ლარი.

- 2017 წელს, შემნახველ საწარმოთა კომპონენტის ფარგლებში, დამტკიცდა 3 პროექტი, ჯამური საინვესტიციო ღირებულებით 4,130,870 ლარი. სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა 1,710,308 ლარი. 2018 წლის მარტიდან, შეჩერებულია შემნახველი საწარმოების კომპონენტში განაცხადების მიღება.
- 2017 წლისთვის, საქართველოს მასშტაბით გაიხსნა 166 ახალი და გაფართოვდა 845 საწარმო. სრულმა ინვესტიციამ ახალ საწარმოებზე შეადგინა 144,651,961 აშშ დოლარი;
- სახელმწიფოს მხარდაჭერით, იმერეთის რეგიონში დაგეგმილია მსხვილი სასათბურე კლასტერის აშენება. პროექტის განსახორციელებლად დაგეგმილია 100 მილიონი ლარის ინვესტიცია, რის შედეგადაც, ქვეყანაში საეთაშორისო სტანდარტის მქონე სასათბურე მეურნეობის კლასტერული მოდელი და სატვირთო გადაზიდვების ტერმინალი
- სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზრებზე წვდომისა და მდგრადობის პროექტი (AMMAR), პროექტის ბიუჯეტი: 19 მილიონი აშშ დოლარი (5.8 მილიონი გრანტის სახით) პროექტის ძირითადი მიზანია ინვესტიციების სტიმულირება კლიმატზე ადაპტირებიული სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარება, რომელიც გაზრდის შემოსავლებს და ხელს შეუწყობს მცირე ფერმერებს. (პროექტის დაწყების და დასრულების თარიღი: 2015 წლის აპრილი - 2019 წლის აპრილი).

აგრარული სექტორის პრობლემები წარმოიშვება სურსათის კონკურენუნარიანობაში. საერთაშორისო ბაზრებზე, მათ შორის ევროპულ ბაზრებზე საკმაოდ დიდი კონკურენციაა, ქართული პროდუქციის ნაკლები ცნობადობა და ამასთან, თანამედროვე ტექნოლოგიების სიმცირე ხელს უშლის ქვეყნის აგრარულ პროდუქციას მეტი პოპულარობა მოიპოვოს. სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიების შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმპორტჩანაცვლებადი და ძირითადი სასურსათო პროდუქტების წარმოებას. აუცილებლად გასავითარებელია მარკეტინგული და მენეჯმენტის საკითხები. ქვეყანამ

უნდა აირჩიოს სოფლის მეურნეობის განითარების ისეთი ორიენტაცია, რომ პირველ რიგში საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპი დააკმაყოფილოს, მოიპოვოს კონკურენტუნარიანი უპირატესობა და აწარმოოს ისეთი საექსპორტო პროდუქცია რომ ადგილი დაიმკვიდროს ბაზრებზე. თუ კი საქართველო მოახერხებს, რომ შეინარჩუნოს აგრარულ სექტორში წარმოების ზრდის ტენდენცია, და უფრო მეტადაც გაზარდოს, თუ კი მაქსიმალურად დააკმაყოფილებს ევროპულ კრიტერიუმებსა და მოთხოვნებს, სავსებით შესაძლებელია აგროსასურსათო პროდუქცია უახლოეს მომავალში გახდეს კონურენუნარიანი.

გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება გამოიკვეთოს ის მიმართულებები, რაც ეკონომიკურმა პოლიტიკამ აგრარულ სექტორში უნდა გადაჭრას:

- აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- ინსტიტუციური განვითარება;
- მელიორაცია და ნიადაგის ნაყოფიერება;
- რეგიონალური და დარგობრივი განვითარება;
- სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა;
- კლიმატის ცვლილებები, გარემო და ბიომრავალფეროვნების შენარჩნება. ამავე დროს საჭიროა ვაწარმოოთ მაღალი ხარისხის ეკოლოგიურად სუფთა და მრავალფეროვანი პროდუქცია, რომელიც დააკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებას სურსათზე. ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარების ღონისძიებებს, ინსტიტუციური მოწყობის სრულყოფას, საინფორმაციოსაკონსულტაციო სამსახურების ეფექტიან ფუნქციონირებას, ფერმერთა გადამზადებას საბაზრო ურთიერთობების მოთხოვნების შესაბამისად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, სტატისტიკური აღრიცხვიანობის გაუმჯობესებას, საბაზრო საინფორმაციო სისტემის შექმნას, სასურსათო უსაფრთხოების ანალიზისა და მონიტორინგის ხარისხის გაუმჯობესებას,

შესაბამისი მოქნილი საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებას და განხორციელებას.

დღევანდელ გარემოში, უპირატესობა ენიჭება ახლებურ და ინოვაციურ მიდგომებს. საქართველოს აგრარულმა სექტორმა უნდა მოსინჯოს ახალი ძალები და შესაძლებლობები, უნდა შექმნას ისეთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რომელიც ინოვაციური იქნება და მისი კოპირება არც ისე მარტივი. გამოცდილი მაგრამ უკვე მოძველებული მეთოდები ეკონომიკური ზრდის პერსპექტივებს ვერ შექმნის.

საქართველოს, აშკარა რესურსული უპირატესობების და კულტურული მემკვიდრეობის პირობებში დიდი პოტენციალი გააჩნია, რომ აწარმოოს მაღალშემოსავლიანი, თანამედროვე საექსპორტო პროდუქცია. ქვეყანას შეუძლია მაღალი დამატებული ღირებულების სეგმენტში ადგილის დამკვიდრება და ძლიერი ეკონომიკური მხარეების გამოვლენა. გონივრული პოლიტიკის განხორციელების შედეგად უნდა გაიზრდოს აგრარულ სექტორში წარმოების მასშტაბები, კონკურენტუნარიანობა, რენტაბელურობა, სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან მიღებული შემოსავლები; უნდა გაუმჯობესდეს რეგიონებში მოსახლეობის ცხოვრების პირობები; შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები, გაიზარდოს თვითდასაქმებულთა კეთილდღეობა, შემცირდეს უმუშევრობა სოფლად. შედეგად, საქართველოში წარმოებული აგროსასურსათო პროდუქცია დაიმკვიდრებს ღირსეულ ადგილს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე.

აგრარული სექტორის განვითარებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება საკრედიტო და სადაზღვევო სისტემების გაუმჯობესებას. საქართველოში, სამწუხაროდ, ჯერ ისევ მაღალი პროცენტებია აგროსესხებზე და დაზღვევის სექტორიც არც ისე დიდი პოპულარობით საერგებლობს ფერმერთა შორის. საკრედიტო და სალიზინგო სისტემების განვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველადი წარმოების, გადამუშავებისა თუ რეალიზაციის მიმდინარე პროცესებში. საქართველოში პირველად 2013 წელს გამოჩნდა „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“. რომელიც ფერმერებისა და აგრარულ სექტორში ჩართულ სხვა ეკონომიკურ სუბიექტებს აუზრუნველყოფს იაფი, გრძელვადიანი ფულადი რესურსებით.

პროექტის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის მიმართულების საწარმოები საფინანსო ინსტიტუტებისგან იღებენ შეღავათიან აგროკრედიტს და აგროლიზინგს ძირითადი და საბრუნავი საშუალებებისთვის. აგროკრედიტს გასცემენ პროექტში მონაწილე კომერციული ბანკები და საფინანსო ინსტიტუტები (13 ბანკი და 2 სალიზინგო ორგანიზაცია), ხოლო სააგენტო ახორციელებს სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას.

„შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“ მოიცავს რიგ კომპონენტებს:

- ✓ განვადება მცირე ფერმებისათვის - 0%, უპროცენტო განვადება მოქმედებს 6 თვიანი პერიოდით და მაქსიმალური თანხა შესაძლებელია შეადგენდეს 5000 ლარს.
- ✓ საშუალო და მსხვილი ფირმებისათვის კრედიტი გაიცება არაუმეტეს 8%-ისა. თანხა გაიცება 5000-დან 100 000 ლრამდე, საბრუნავი საშუალებებისთვის არაუმეტეს 18 თვისადა ძრითადი საშუალებებისთვის არაუმეტეს 60 თვით.
- ✓ შეღავათიანი აგრო კრედიტი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისთვის არაუმეტეს 3%-ისა, სესხის მინიმალური თანხა არის 30 000 აშშ დოლარი,ხოლო მაქსიმალური 600 000 აშშ დოლარი. აღნიშნული გაიცემა 84 თვით.
- ✓ ციტრუსის ექსპორტიორ და გადამამუშავებელი კომპანიებისთვის სესხის მაქსიმალური თანხა შეადგენს 10 მლნ ლარს და გაიცემა მაქსიმუმ 4 თვით, საპროცენტო განაკვეთი ამ შემთხვევაში დამოკიდებულია კრედიტის მოცულობაზე და არ აღემატება 15%-ს.
- ✓ შეღავათიანი აგროკრედიტი ყურძნის ადამამუშავბელი კომპანიებისთვის სესხების მაქსიმალური ვადა 15 თვეა, ხოლო სესხის თანხობრივი მოცულობა 10 მლნ ლარი.
- ✓ პროექტი „აწარმოე საქართველოში“- სესხი ახალი საწარმოს შემნისთვის არანაკლებ 600 000 აშშ დოლარის და არაუმეტეს აშშ დოლარის 2 000 000

ოდენობით. სესხის ძრითადი ნაწილის დაფარვისვადა 18-დან 24 თვემდე მერყეობს.

აღნიშნული პროექტი 2018 წელს უამრავ მეწარმეს დაეხმარა საკუთარი ბიზნესი წამოეწყო ან გაეფართოვებინა იგი. მათ შორის:

- 2018 წელს თელავის მუნიციპალიტეტში ხილის გადამმუშავებელი ახალი საწარმო შპს „აჩინებული“ ამოქმედდა. საწარმოში ჯამურად 2 500 000 ლარის ინვესტიცია განხორციელდა, აქედან 891763 უცხოური კაპიტალია. საწარმოში დაგეგმილია წელიწადში 500,000 ლიტრზე მეტი სხვადასხვა სახეობის ხილის წვენის წარმოება. პროდუქციის რეალიზაცია, თავიდან ადგილობრივ ბაზარზე მოხდება. სამომავალოდ იგეგმება ექსპორტზე გატანა. საწარმოში მუდმივად 25 ადამიანია დასაქმებული და სეზონურად 8-10 ადამიანი ემატება.
- ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვენატკოცაში ხილ-ბოსტნეულის შემნახველი ახალი საწარმო „გლენბერი“ გაიხსნა. თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ სამაცივრო საწარმოში ჯამურად 5,000,000 ლარამდე ინვესტიცია განხორციელდა, აქედან, 600,000 ლარი გრანტია, ხოლო დანარჩენი თანხა ბენეფიციარის ინვესტიცია. სამაცივრო კომპლექსში წელიწადში 1,200 ტონა სხვადასხვა ხილ-ბოსტნეულის შენახვა იქნება შესაძლებელი, ამას გარდა, სამაცივრო კომპლექსს გააჩნია გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურა და უნიკალური შოკური გაყინვის მეთოდის გამოყენებით 24 საათში 10 ტონა ხილბოსტნეულის გადამუშავებაა შესაძლებელი. პროდუქციის რეალიზაცია გათვლილია საექსპორტო ბაზარზე ევროკავშირის ქვეყენებში, ისრაელში, თურქეთში და პანამაში. სამაცივრო კომპლექსში მუდმივად 60 ადამიანია დასაქმებული, ხოლო სეზონურად 80 ადამიანი დაემატება.
- ოზურგეთში ჩაის გადამამუშავებელი ახალი საწარმო ამოქმედდა. თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ჩაის გადამამუშავებელი საწარმო „საქართველოს თაიგული“ სახელმწიფოს დახმარებით, „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში შეიქმნა. საწარმოს შექმნის ფინანსური მხარდაჭერა „სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამმუშავებელი და შემნახველი ახალი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის“ ფარგლებში მოხდა. საწარმოში ჯამურად 428,520 აშშ დოლარი ინვესტიცია განხორციელდა, მათ შორის, 171,408 აშშ დოლარი გრანტია,

ხოლო 150,000 აშშ დოლარი შეღავათიანი აგროკრედიტი. კომპანია წელიწადში 15 ტონა სხვადასხვა დასახელების ჩაის აწარმოებს, რისთვისაც მხოლოდ ადგილობრივ ნედლეულს იყენებს. პროდუქციის რეალიზაცია გათვლილია ადგილობრივ ბაზარზე; სამომავლოდ იგეგმება მისი ექსპორტზე გატანაც. საწარმოში 10 ადამიანია დასაქმებული. 2013 წლიდან დღემდე, სახელმწიფოს დახმარებით, „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში, 170 ახალი და 845-ზე მეტი მოქმედი საწარმო დაფინანსდა. საიდანაც, გურიის რეგიონში შეიქმნა 7 ახალი და გადაიარაღდა/გაფართოვდა 7 საწარმო. სახელმწიფოს ფინანსურმა მხარდაჭერამ მეწარმეებს დამატებითი ბიძგი მისცა, წარმოების განვითარებაგაფართოებისთვის.

- გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ გურჯაანში მარწყვის ახალი ბაღი გაშენდა. ბაღის გასაშენებლად სულ 50,000 ლარის ინვესტიცია განხორციელდა, აქედან, 11,285 ლარი ფერმერმა გრანტის სახით, რომელიც სარწყავი სისტემების შესაძენად გამოიყო. ბაღი გაშენებულია 8000 კვ.მ-ზ ე. „აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამას“ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მოქნილობის პროექტის“ (AMMAR) მხარდაჭერით ახორციელებს. პროგრამას სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) და გლობალური გარემოს დაცვის ფონდი (GEF) აფინანსებს. პროგრამით გათვალისწინებული სააგენტოს თანადაფინანსება შეადგენს წარმოდგენილი პროექტის ჯამური ღირებულების 40% -ს, ხოლო ბენეფიციარის თანამონაწილეობა - 60% -ს.

ხაზი უნდა გაესვას უცხოური ინვესტიციებით დაფინანსებულ მრავალწლიან პროექტებს. მათგან ნაწილი წლების წინ დაიწყო და დღემდე გრძელდება, ნაწილი კი გასულ წელს დაიწყო და დასრულების თარიღები განსაზღვრული არ არის:

- პროექტი „ზრდა“ - პროექტის დაწყების და დასრულების თარიღი: 2016 წლის მარტი - 2021 წლის მარტი, ბიუჯეტი: 14,747,479 აშშ დოლარი. ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკურ ზრდას ზღვრისპირა სოფლებში მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობების ხელშეწყობით. პროექტის ფარგლებში, მოხდება ფერმერთა დახმარება გრანტების, სასწავლო პროგრამების და ტექნიკური დახმარების მეშვეობით. პროექტის ფარგლებში, ხორციელდება ადამიანური

რესურსების განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგებში წარმოების ახალ და გაუმჯობესებულ ტექნოლოგიებზე წვდომას. პროგრამა ითვალისწინებს ტექნიკურ დახმარებასა და პრაქტიკულ კურსებს. პროექტი მიმართულია რომ აგრარული წარმოების გაუმჯობესებული მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად, გაიზარდოს მოსავლიანობა და შემოსავლები, ხოლო ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების შესატყვისი უნარ-ჩვევების განვითარება ხელს შეუწყობს სოფლად მცხოვრები ოჯახების შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაციას და გაზრდის მათი დასაქმების შესაძლებლობებს. პროგრამის ძირითადი საქმიანობა მოიცავს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებას ისეთ პრიორიტეტულ სექტორებში, როგორიცაა: ხეხილის ბაღები, კენკრის წარმოება, ბოსტნეულის წარმოება, მეფუტკრეობა, ტურიზმი და მომსახურების დარგი.

- საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტი -პროექტის დაწყების და დასრულების თარიღი: 2013 წლის სექტემბერი - 2018 წლის სექტემბერი პროექტის ბიუჯეტი: 19.5 მილიონი აშშ დოლარი. პროექტის მიზანია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება; ფერმერული მეურნეობების და აგრომეწარმეების შემოსავლების ზრდა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ფინანსური და ტექნიკური დახმარების გზით. მოსალოდნელი შედეგები: 6 მილიონი დოლარის საგრანტო დაფინანსებას მიიღებს ფერმერთა მომსახურების და მექანიზაციის ცენტრები, პირველადი მწარმოებელი, მომსახურების, ინფორმაციის მომწოდებელი, გადამამუშავებელი და შესაფუთი საწარმო, მათ შორის, 15 % მეწარმე ქალი. თანადაფინანსების ფარგლებში, კერძო სექტორიდან მოზიდული იქნება 14 მილიონი დოლარი.

- ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი (USDA) - ცხოველთა ჯანმრთელობის ეროვნული პროგრამა პროექტის დაწყების და დასრულების თარიღები: 2008 წელი, დასრულების თარიღი განსაზღვრული არ არის პროექტის ბიუჯეტი: 345,000 აშშ დოლარი წლიურად - ცხოველთა ჯანმრთელობის ეროვნული პროგრამა ითვალისწინებს ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უწყვეტი გაუმჯობესების უზრუნველყოფას, რომელიც

აკმაყოფილებს ყველა დაინტერესებული მხარის საჭიროებებს, ხელს უწყობს უვნებელი სურსათის წარმოებას, აუმჯობესებს საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და განაპირობებს სოფლის მეურნეობის ეკონომიკის მდგრადობას. პროგრამის მიზანია რეგიონებში კერძო ვეტერინარული სექტორის განვითარების ხელშეწყობა შესაბამისი სტიმულირებით. ასევე, რეგიონებში კერძო ვეტერინარული სექტორის განვითარება, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ცხოველთა ჯანმრთელობის ეროვნული პროგრამის ექვსი სტრატეგიული ამოცანიდან ერთ-ერთს.

- ADA/SDC ავსტრიის განვითარების სააგენტოსა და შვეიცარიის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით, ხორციელდება რამდენიმე პროექტი, მათ შორის, ცხოველთა იდენტიფიკაციის, რეგისტრაციის და მიკვლევადობის სისტემების დანერგვის მხარდაჭერის ტექნიკური დახმარების პროექტი. პროექტის დაწყების და დასრულების თარიღი: 2016 წლის დეკემბერი - 2020 წლის ნოემბერი პროექტის ბიუჯეტი: 5,410,750 აშშ დოლარი- პროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოში ცხოველთა იდენტიფიკაციის, რეგისტრაციის და მიკვლევადობის ევროპული სტანტარტის სისტემის ჩამოყალიბება, რომლის შედეგადაც ქვეყანაში გაუმჯობესდება სურსათის უვნებლობა და ცხოველთა ჯანმრთელობა. ასევე, გაუმჯობესდება და გაადვილდება საერთაშორისო და რეგიონულ ბაზრებზე ცოცხალი ცხოველების და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ექსპორტი.
- მსოფლიო ბანკი (WB) - საქართველოს ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტი პროექტის დაწყების და დასრულების თარიღი: 2014 წლის მარტი - 2019 წლის მარტი პროექტის ბიუჯეტი: 50 მილიონი აშშ დოლარი - პროექტის მიზანია შერჩეულ ტერიტორიებზე საირიგაციო მომსახურების მიწოდების გაუმჯობესება. პროექტის ფარგლებში განხორციელდება 26 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის დამუშავება 31 000 ფერმერული შინა მეურნეობისათვის. პირველი კომპონენტი - ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების განვითარება. პროექტის ფარგლებში დაგეგემილია საირიგაციო სისტემების რეაბილიტაცია და შპს საქართველოს მელიორაციისათვის ინსტიტუციონალური მხარდაჭერა. პირველ ეტაპზე, რეაბილიტაცია ჩაუტარდება სამ საირიგაციო სისტემას, ესენია: ქვემო სამგორის, ზედა რუსა და ტბისი-კუმისის საირიგაციო სისტემები. პროექტის

ფარგლებში, მომზადდა ირიგაციის სექტორის განვითარების სტრატეგია; ამჟამად, მიმდინარეობს სტრატეგიის დამუშავების საბოლოო პროცესი.

აღნიშნულ პროექტებში დაბანდებული უცხოური კაპიტალი, ცხადია დადებითად უნდა აისახოს აგრარულ სექტორში მიმდინარე პროცესებზე, უნდა გაიზარდოს წარმოებისა და შემოსავლიანობის მასშტაბები. ასე მაგალითად, 2018 წელს წინა წელთან შედარებით ერთწლიანი კულტურების მთლიანი წარმოება გაზრდილია დაახლოებით 20%-ით, ხოლო საშუალო მოსავლიანობა-14%-ით (იხ. ცხრილი №11)[16].

ერთწლიანი კულტურების წარმოება და საშუალო მოსავლიანობა 2017-2018 წლები

(ათასი ტონა)

ცხრილი N 11:

კულტურები	წარმოება		საშუალო მოსავლიანობა	
	2017	2018	2017	2018
ხორბალი	97.9	107.1	2.2	2.5
ლობიო	5.7	5.8	0.7	0.6
მზესუმზირა	2.2	3	0.5	1
ქერი	43.9	57.7	2	2.2
სიმინდი	142.5	194.2	1.8	2.7
კარტოფილი	180.1	237.5	9	12.5
კიტრი	23	33	9.7	12.4
პომიდორი	49.9	51.7	9.8	11
ბაღჩეული	80.1	70.2	25.8	24.4
სხვა ბოსტნეული	125.9	142.2	7.3	8.8

[16] სტატისტიკის ეროვნული სამსახური

განსაკუთრებით გაზრდილია სიმინდისა და კარტოფილის მოსავლიანობა და წარმოების დონე, კერძოდ სიმინდი-36%, კარტოფილი-32%. შედარებით ნაკლებადაა გაზრდილი სხვა ერთწლიანი კულტურების წარმოება და ხაზგასასმელია, რომ შემცირებულია ბაღჩეულის ტიპის მცენარეთა წარმოება 12%-ით, რაც დაახლოებით 10 ათას ტონა პროდუქტს წარმოადგენს.

წინა წელთან შედარებით, 2018 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ზოგიერთი მრავალწლიანი კულტურების მოსავლიანობა (იხ. ცხრილი №12).

მრავალწლოვანი კულტურების წარმოება რეგიონების მიხედვით[17]

2017-2018 წ.

ცხრილი N 12:

	ვაშლი		თხილი		ყურძენი		ციტრუსი	
	2017	2018	2017	2018	2017	2018	2017	2018
თბილისი	0,1	0.1	-	-	1.3	1.3	-	-
აჭარის არ	1.4	1.6	2.4	1.3	1.6	3	46.1	48.2
გურია	0.5	0.4	6.4	1.9	1.9	2.3	10.9	13.3
იმერეთი	1.6	1.6	2.8	1.4	20.9	31.5	0.2	0.4
კახეთი	0.6	0.8	2	2.3	134.8	188.2	-	-
მცხეთა-მთიანეთი	0.4	0.7	0.1	0.1	2.8	4.3	-	-
რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი	0.7	0.8	-	-	2.3	4.1	-	-
სამეგრელო, ზემო ვანეთი	0.8	1.4	7.3	9.5	2.1	3.2	1	4.4
სამცხე-ჯავახეთი	1	1.7	-	-	0.7	1.3	-	-

[17] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ქვემო ქართლი	1.7	1.6	0.3	0.3	4.5	5.9	-	-
შიდა ქართლი	10.7	72	0.1	0.1	8	14.8	-	-
სულ	**19.7**	**82.7**	**21.4**	**17**	**180.8**	**259.9**	**58.2**	**66.3**

ცხრილში ასახულია ძრითადი, მრავალწლიანი კულტურების მოსავლიანობის ცვლილება 2018 წელს გატარებული აგრარული პოლიტიკის შედეგად. თითოეული პროდუქტი გარკვეულ რეგიონებში უფრო მეტად, დანარჩენში ნაკლებად მოდის. მაგალითად, ვაშლის წარმოება გასულ წელს გაიზარდა 76%-ით, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და თთქმიწს მოსავლის 90 პროცენტი შიდა ქართლზე მოდის. ცხრილის მიხედვით, შემცირებულია თხილის წარმოება ქვეყანაში-26%-იტ, თუმცა მზარდი ტენდენცია იკვეთება ყურძნია და ციტრუსის წარმოებაში: ყურძენი- გაიზარდა 44%-ით, ციტრუსი- 14%. ვინაიდან, უცხოურ კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე რამდენიმე ახალი საწარმო გაიხსნა ქვეყანაში, რომელიც ორიენტირებულია სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებაზე, შესაძლოა ვარაუდი, რომ მიმდინარე წელს, სხვადასხვა ფაქტორთა ხელშეწყობით აგრარული სექტორის წარმოება მეტად გაიზრდება.

აგრარულმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს სოფელში მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლების ზრდას, სიღარიბის დონის დაძლევასა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიღწევას. 2018 წლის სასოფლო-სამეურნეო განვითარების სამოქმედო გეგმის ხედვას წარმოადგენს საქართველოს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის და სოციალური მდგომარეობის მუდმივი ზრდის უზრუნველყოფა, რომელიც დაეფუძნება მრავალფეროვან ეკონომიკურ შესაძლებლობებს, ხელმისაწვდომ სოციალურ სიკეთეებს, მდიდარ კულტურულ ცხოვრებას, გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვას. სოფლის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელების დაფინანსების ძირითადი წყარო, რა თქმა უნდა, არის სახელმწიფო ბიუჯეტი. მისი ეფექტიანი განხორციელებისათვის, გათვალისწინებულია მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან, საერთაშორისო დონორებთან და საფინანსო ინსტიტუტებთან როგორც რესურსების

მობილიზების, ასევე ტექნიკური მხარდაჭერის მიღების მიმართულებით. ამ მხრივ, პრიორიტეტულია თანამშრომლობა ევროკავშირთან.

2017-2018 წლის წლიური ანგარიშების მიხედვით, სოფლის მეურნეობაში გადაიდგა შემდეგი საინვესტიციო ნაბიჯები;

- გადამამუშავებელ საწარმოთა კომპონენტის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით, 2014-2017 წლებში, „ბენეფიციარის თანადაფინანსების შესახებ“ ხელშეკრულება გაფორმებულია 40 პროექტის ბენეფიციართან, ჯამური საინვესტიციო ღირებულებით 24,217,789 აშშ დოლარი და 4,257,803 ლარი, საიდანაც სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა 8,798,143 აშშ დოლარი და 600,000 ლარი.
- 2017 წელს, შემნახველ საწარმოთა კომპონენტის ფარგლებში, დამტკიცდა 3 პროექტი, ჯამური საინვესტიციო ღირებულებით 4,130,870 ლარი. სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა 1,710,308 ლარი. 2018 წლის მარტიდან, შეჩერებულია შემნახველი საწარმოების კომპონენტში განაცხადების მიღება.
- 2013-2017 წლებში, საქართველოს მასშტაბით გაიხსნა 166 ახალი და გაფართოვდა 845 საწარმო. სრულმა ინვესტიციამ ახალ საწარმოებზე შეადგინა 144,651,961 აშშ დოლარი;
- სახელმწიფოს მხარდაჭერით, იმერეთის რეგიონში დაგეგმილია მსხვილი სასათბურე კლასტერის აშენება. პროექტის განსახორციელებლად დაგეგმილია 100 მილიონი ლარის ინვესტიცია, რის შედეგადაც, ქვეყანაში საეთაშორისო სტანდარტის მქონე სასათბურე მეურნეობის კლასტერული მოდელი და სატვირთო გადაზიდვების ტერმინალი
- სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზრებზე წვდომისა და მდგრადობის პროექტი (AMMAR), პროექტის ბიუჯეტი: 19 მილიონი აშშ დოლარი (5.8 მილიონი გრანტის სახით) პროექტის ძირითადი მიზანია ინვესტიციების სტიმულირება კლიმატზე ადაპტირებიული სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის განვითარება, რომელიც გაზრდის შემოსავლებს და ხელს შეუწყობს მცირე ფერმერებს. (პროექტის დაწყების და დასრულების თარიღი: 2015 წლის აპრილი - 2019 წლის აპრილი).

2018 წელს გურჯაანის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა ვენახების კადასტრის პროგრამის განხორციელება. კომპანია „რუკა მაპინგმა“ 12355 ვენახის ნაკვეთის ორთოფოტო გადაიღო, რაც შეესაბამება 4657,7 ჰა-ს. განახორციელდა საკადასტრე ინფორმაციის შეკრება ამ ვენახებისა და მათი მფლობელი 5086 ფერმერის შესახებ. ყველა ეს ინფორმაცია, ორთოფოტოები და საანკეტო მონაცემები ერთიან მონაცემთა ბაზაში გაერთიანდა. საერთაშორისო კომპანია ABACO-სთან თანამშრომლობით, განხორციელდა საქართველოს ვენახების კადასტრის საერთო მონაცემთა ბაზაში თელავისა და ახმეტის მუნიციპალიტეტების მონაცემთა ბაზის ატვირთვა და გამართვა. დასრულდა მიმდინარე წლის რთველის პროცესში ყვარლის მუნიციპალიტეტის ქინძმარაულისა და ყვარლის მიკროზონებში სატესტო რეჟიმში განხორციელებული კადასტრის საპილოტე პროგრამიდან მიღებული შედეგების ანალიზი. ამავე პერიოდის მნიშვნელოვან პროექტად შეიძელბა ჩაითვალოს ENPARD III-ის დაწყება, რომლის მიზანიც სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებული კონკურენტუნარიანობა და სოფლის განვითარებაა. პროექტის ბიუჯეტი 77,5 მილიონ ევროს წარმოადგენს და 2021 წლამდე გაგრძელდება. აღნიშნული პროგრამა მოიცავს სხვადასხვა პროექტებს, მაგალითისთვის CENN-თან თანამშრომლობით დაწყებულ პროექტს „ადგილობრივი ლიდერები წალკის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარებისათვის“. ასევე 2018 წელს, აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო 6 ახალი პროექტი სასოფლო-სამეურნეო განათლების, რძისა და ხორცის ინდუსტრიისა და ფიტოსანიტარიის მიმართულებებით. აღსანიშნავია „Food For Progress“ პროექტის დაწყება, რომელიც ხელს შეუწყობს რძისა და ხორცის სექტორებში ფერმის მართვის საუკეთესო პრაქტიკების გამოყენებით პროდუქტიულობის ამაღლებას, გაზრდის კერძო სექტორის ჩართულობას. ექსტენციის მოდელების ფართო გამოყენებით მოხდება ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა. პროექტის მიზანია რძისა და ხორცის მიმართულებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობის ზრდა სურსათის უვნებლობის და ხარისხის გაუმჯობესებით, პროდუქტის ინოვაციით და მარკეტინგით, როგორც საჯარო ასევე კერძო სექტორების მონაწილეებს შორის. ფიტოსანიტარული ღონისძიებების კუთხით მნიშვნელოვანი პროექტები დაიწყო სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (UNFAO) მიერ, რომელთა ბიუჯეტი ჯამში 500,000 აშშ დოლარამდეა. გარდა ზემოაღნიშნულისა, 2018 წელს დაიწყო შვეიცარიის

განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსა (SDC) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) „საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროფესიული განათლებისა და საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების სისტემების მოდერნიზაციის“ პროექტი; ავსტრიის განვითარების სააგენტოს სოფლის განვითარებისკენ მიმართული ორი პროექტი და ჩეხეთის რესპუბლიკის მხარდაჭერით „ტიპიური ქართული საკვები პროდუქტების «ტერუარების» იდენტიფიკაციის“ პროექტი.

2018 წელს საერთო ჯამში დასრულდა 13 პროექტი. დონორ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ ევროკავშირი, გაეროს განვითარების პროგრამა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, გაერთიანებული სამეფოსა და ნორვეგიის სამეფოს მთავრობები. 8 პროექტი განხორციელდა გარემოსდაცვითი მიმართულებით და მოიცავდა შავი ზღვის მონიტორინგის, ტყის რესურსების მდგრად გამოყენების, სახიფათო ნარჩენების მართვისა და გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების ამაღლების მიმართულებებს. ხოლო 5 მათგანი სოფლის მეურნეობის დარგში ხორციელდებოდა და მოიცავდა შემდეგ პროექტებს:

- საქართველო: მწარმოებელთა ინფორმირებულობის კამპანია ფაროსანასთან დაკავშირებით (BMSB);
- აგროტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ეფექტურობის აღდგენა (REAP);
- ფერმერი - ფერმერს პროექტი;
- ტყის ხილი - ბაზარი ქალებისთვის.

მიმდინარე წლისთვის დაგეგმილია ისეთი პროექტების განხორციელება როგორიცაა: სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა, ითვალისწინებს ფერმერებისთვის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას. ტექნიკური დახმარების და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მარკეტინგის პროექტი, აღნიშნულის მიზანია მარკეტინგული ინფორმაციის შექმნა და მწარმოებლებისთვის აღნიშნულ ინფორმაციაზე

ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; საგრანტო თანადაფინანსების მეშვეობით ხელმისაწვდომი გავხადოთ ხარისხიან მარკეტინგულ სერვისებზე წვდომა.

მნიშვნელოვანია, ბიოპროდუქტების წარმოების ხელშეწყობის პროგრამა საქართველოში და მესაქონლეობის ხელშეწყობის პროექტი, რომლის მიზანია საქართველოში ბიოპროდუქტების წარმოების ხელშეწყობა და ბიოპროდუქტების პოპულარიზაცია.

დასკვნები და რეკომენდაციები:

- სოფლის მეურნეობაში დაბალია უცხოურ ინვესტიციათა მოცულობა, რაც აფერხებს აგრარული სექტორის განვითარებას;
- სოფლის მეურნეობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობი ფაქტორებია: ლიბერალური საგადასახადო სისტემა; საბაჟო კანონმდებლობათა რეფორმა; ლიცენზირებისა და ნებართვების სისტემის რეფორმა; თავისუფალი ინდუსტრიული ზონები და საქართველოს მიერ სხვა ქვეყნებთან გაფორმებული სავაჭრო ხელშეკრულებები;
- სოფლის მეურნეობის სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტებია: კონკურენტუნარიანობის ამაღლება; სოციალური პირობებისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესება; გარემოს დაცვა და რესურსების ეფექტური მართვა;
- მიზანშეწონილად მიგვაჩნია: ფერმერული საქმიანობის ეკონომიკური გაჯანსაღება, რესტრუქტურიზება და მოდერნიზაცია, დივერსიფიკაციისა და ეფექტიანი მიწოდების ჯაჭვის განვითარების მეშვეობით; სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ღირებულებათა ჯაჭვის გაძლიერებით და მდგრადი არასასოფლო-სამეურნეო მიმართულებების განვითარების საშუალებით; სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება სოფლის სპეციფიკისა და უნიკალური კულტურული იდენტობის საფუძველზე; სოფლის ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ხარისხიანი სახელმწიფო სერვისებით სარგებლობის ხელმისაწვდომობა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩათვლით; სოფლის მოსახლეობის (განსაკუთრებით ქალებისა და ახალგაზრდების) ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებას და მათი გადაწყვეტის გზების განსაზღვრაში; სოფლის მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი საჭიროებების იდენტიფიცირებას და მათი გადაწყვეტის გზების განსაზღვრაში.
- აგრარულ სექტორში საინვესტიციო კაპიტალის შემოსვლისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო დაკრედიტებისა და დაზღვევის სისტემის

განვითარება. სწორედ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა გრძელვადიანი ეფექტის მომტანი დარგისთვის;

- საერთაშორისო და სამეცნიერო ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვით აგრარულ სექტორში წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობისათვის საჭიროა დარგის კვლევითი და სამეცნიერო პროგრამების გაფართოება;
- აუცილებელია სამეურნეო-საკონსულტაციო ცენტრების სისტემის დახვეწა. ცენტრები უფრო მეტად ხელმისაწვდომი უნდა გახდეს, ყოველ ფერმერს უნდა შეეძლოს საჭირო ინფორმაციის მიღება. მიუხედავად საკონსულტაციო დაწესებულებების არსებობისა, ფერმერთა ნაწილი მაინც არ არის შესაბამისად ინფორმირებული;
- საყურადღებოა, ექსპორტის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება და საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის ეფექტური სტრატეგიების შემუშავება; ჯერ კიდევ ბევრი მუშაობაა საჭირო ფერმერთა დაზღვევისა და დაკრედიტების სისტემების გასაუმჯობესებლად. უნდა მოხდეს ფერმერთა ინფორმირება აღნიშნული ასპექტების დადებითი მხარეებისა და ნაკლოვანებების შესახებ;
- მიუხედავად, პოზიტიური ნაბიჯებისა, უცხოელ ინვესტორთა გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, რომ ინვესტიციებს ძალიან დიდ დაბრკოლებას უქმნის საკუთრების უფლების დაუცველობა. გარდა ამისა, ნეგატიურ გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები: მაღალი საპროცენტო განაკვეთები და საფონდო ბირჟის სისუსტე, სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი, კონფლიქტური რეგიონები და პოლიტიკური არასტაბილურობა და სხვა.
- ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა უმუშევრობის ფაქტორი, როგორც მთლიანად ეკონომიკის ასევე აგრარული სექტორისათვის. მეტი სამუშაო ადგილის შესაქმენლად მთავრობამ აუცილებლად უნდა განავითაროს ბიზნეს გარემო. სახელმწიფომ უნდა შექმნას ისეთი დეტალური და ნათლად ჩამოყალიბებული სამოქმედო გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს ამ ფაქტორის გაუმჯობესებას. მნიშვნელოვანია, განვითარდეს ადგილობრივი ბიზნესი, ამაში ყველაზე დიდ როლს უცხოური ინვესტიციები მოირგებს. სწორედ საინვესტიციო გარემოს დახვეწით და კაპიტალდაბანდებათა ხელშეწყობით მოხდება მთლიანად აგროსექტორის გაუმჯობესება.

- უცხოური ინვესტიციების დიდი მოცულობით შემოდინება უდიდეს გავლენას მოახდენს ქართულ ეკონომიკაზე: გააუმჯობესებს ტექნოლოგიურ ბაზას, შეიქმნება თანამედროვე ტექნიკითა და მეთოდოლოგიებით აღჭურვილი საწარმოები, მოხდება არსებულთა გადამზადება, კვალიფიციური ამაღლება, დაინერგება ინოვაციები, გაუმჯობესდება მართვის სისტემები და სხვა.
- იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობის დარგები მიმზიდველი გახდეს უცხოელი ინვესტორებისათვის, საჭიროა მიწისა და ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება. სოფლის მეურნეობის სფეროს კომერციალიზაციისათვის მნიშვნელოვანია დიდი ზომის მეურნეობების არსებობა (50 ჰა და მეტი), თუმცა ჩანს, რომ საქართველოს შემთხვევაში მეურნეობების ძირითადი ნაწილი, 85% მცირემიწიანია და მათი ფართობი 5 ჰექტარზე ნაკლებს შეადგენს. სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისთვის ურბანიზაციის ზრდა და დიდი მეურნეობების შექმნაა მნიშვნელოვანი. ამავდროულად, დარგის მნიშვნელოვან გამოვწვევას წარმოადგენს ინოვაციების არარსებობა.
- მნიშვნელოვანია შემუშავდეს დარგისთვის შესაფერისი სპეციფიკური მიდგომა, რომელიც წარმოშობს დამატებით მოტივაციას, დამატებით ბიძგს ინვესტორთათვის, რომ თავიანთი კაპიტალი შედარებით ნაკლებ მომგებიან დარგში დააბანდონ. შესაძლოა ასეთ ბერკეტებად ნაკლებკონკურენტულ დარგებში გამოდგეს ზოგიერთი რეგულაციის შერბილება ან/და მათი გაუქმება.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. ბაუჩაძე ბ. საქართველოს აგროსასურსათო სექტორის რესტრუქტურიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირება და განვითარება გარდამავალ პერიოდში, თბილისი, 2006 წ;
2. ბარათაშვილი ე. მაგრაქველიძე დ. საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები, თბილისი 2009 წ;
3. ბერიძე ზურაბ, „ეკონომიკური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების გზები საქართველოს აგრარულ სექტორში, თბილისი, 2011 წ;
4. ბეჟანიძე ნ. ეროვნული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები და გლობალიზაციის გამოწვევები, ბათუმი 2017 წ. (190 გვ);
5. ბუნებრივი რესურსების ინტეგრირებული მართვა, სახელმძღვანელო (ევროკავშირი საქართველოსთვის);
6. გელაშვილი მ. საინვესტიციო აქტივობის შეფასება საბაზრო ეკონომიკის პირობებში. თბილისი, 2001 წ.
7. დადიანი ლ. „სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის საფუძვლები“, თბილისი, 2016წ;
8. დანელია ბ. სოფლის მეურნეობა ინვესტიციების გარეშე, თბილისი 2017წ;
9. ვართანოვი მ. კეჩხოშვილი ე. კუპრეიშვილი შ. ინვესტიციების ეკონომიკური შეფასების თანამედროვე მეთოდები წყალთა მეურნეობაში, თბილისი 2017 წ (204 გვ);
10. თევდორაძე ლ. საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების კუთხით, 2016 წელი EBRD-ისთვის სარეკორდო იყო, მარტი 2017 წ;
11. თვალჭრელიძე ა. სილაგაძე ა. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, თბილისი 2010 წ;
12. თოდუა ხ. ,,აგრარული რეფორმის არსის, მიზნისა და ამოცანების შესახებ“, ჟურნალი ,,ეკონომიკა“ , თბილისი, 2012 წ;
13. კოჭლამაზიშვილი ი. მამარდაშვილი ფ. პუბლიკაცია: „საქართველოს ეკონომიკა იზრდება, სოფლის მეურნეობა კი მცირდება“. 2010 წ;
14. კოღუაშვილი პ. ზიბზიბაძე გ. ,,სოფლის მეურნეობის ეკონომიკა“, ,,თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2010 წ;

15. ლაბაძე ლ. საქართველოს სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასება მაკროეკონომიკური მოდელით, თბილისი, 2015 წ. (198 გვ);
16. მესხია ი. გველესიანი ე. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა, თბილისი 2010 წ;
17. ნაკაშიძე ნ. ჯაში დ. ორგანული სოფლის მეურნეობა, 2013 წ;
18. რუხაია ნ. ექსპორტის მარეგულირებელი აგრარული პოლიტიკა საქართველოში, 2015 წ (219 გვ);
19. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021 წლებისთვის, (გვ 18, გვ24);
20. საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების კონცეფციასაქართველოს ბიზნესის ასოციაცია, 2013 წ;
21. საქართველოს მთავრობის განკარგულება #1373 2013 წ. 18 სექტემბერი, თბილისი;
22. საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესის ზოგადი ანალიზი 2005 წ;
23. საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ, 2013 წ;
24. საქართველოს კანონი საინვესტიციო ფონდების შესახებ
25. საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ
26. საქართველოს კანონი ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ
27. საქართველოს საინვესტიციო გარემოს გამოწვევები, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, თებერვალი 2015წ;
28. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი. `საინვესტიციო საქმიანობა საქართველოში . 2011წ ;
29. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოში სტატისტიკის განვითარების ეოვნული სტრატეგია, თბილისი, 2011 წ;
30. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, „წლიური ანგარიში 2016“ . თბილისი, 2016 .წ;
31. საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი- ფონდი „ლიბერალური აკადემია-თბილის“, 2012წ;
32. სოფლის მეურნეობის განვითარება ევროპაში, FAO-ს საინვესტიციო ცენტრი, სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციები;

33. სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები, I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, საუნივერსიტეტო გამომცემლობა, თბილისი 2012 წ;
34. სოფლის მეურნეობის სტრატეგია: საერთაშორისო გამოცდილება და საქართველო, 2014 წ;
35. სტატისტიკური პუბლიკაცია: „საქართველოს სოფლის მეურნეობა“, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016 წ;
36. ქეშელაშვილი ო. ბიზნესური ეკონომიკა, თბილისი 2010 წ;
37. ქეშელაშვილი ო. სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია და პრიორიტეტები, თბილისი 2007 წ;
38. შათირიშვილი შ. მევენახეობა. დამხმარე სახელმძღვანელო. თბილისი, 2005 წ;
39. ჩავლეიშვილი მ. „აგრობიზნესის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში“, ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2010 წ;
40. ჭარაია ვ. საქართველოს ეკონომიკური კონკურენუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები, თბილისი, 2014 წ;
41. ჭარაია ვ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის, თბილისი, 2015 წ (210 გვ);
42. ჭითანავა ნ. საბაზრო ეკონომიკა და აგროსამრეწველო კომპლექსის პრობლემები, თბილისი, „საქართველო“ 1993 წ;
43. ხარაიშვილი ე. ქართული აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობა და სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტები, ჟურნალი
„ქართული პოლიტიკა“, 2013 წ;
44. ხარაიშვილი ე. აგრარული პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოში, ინტერნეტ ჟურნალი „ქართული პოლიტიკა“, 2013 წ;
45. ხარხერაული ხ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პერსპექტივები საქართველოში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2013 წ;
46. ხურცია ლ. საინვესტიციო საქმიანობის საფინანსო-საკრედიტო რეგულირება საქართველოში, თბილისი 2006 წ;

47. ჯანჯღავა ქ. უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზეგავლენა რეციპიენტი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, თბილისი, 2012 წ (174 გვ);
48. ჯაფარიძე დ. ინვესტიციურ-ინოვაციური პროექტების ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორების მართვა, თბილისი, 2012 წ (163 გვ);
49. ევგენიძე ნ მორიგი ფინანსური დახმარება სოფლის მეურნეობის 20 ოქტომბერი 2015 წ. (http://www.eprc.ge/index.php?a=main&pid=1186&lang=geo)
50. ფრანგები სოფლის მეურნეობაში 14 მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელებას გეგმავენ, 26 ოქტომბერი 2017 წ, (http://www.newposts.ge/?l=G&id=155219)
51. ევგენიძე ნ. უცხოური ინვესტიციები სოფლის მეურნეობაში, ივლისი, 2015 წ (http://eprc.ge/index.php?a=main&pid=1079&lang=geo)
52. ევგენიძე ნ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და საგარეო ვაჭრობის ტენდენციები, სექტემბერი 2015 წ (http://www.eprc.ge/index.php?a=main&pid=1144&lang=geo
53. ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ და საქართველო https://www.googie.ge/search?q
54. ,სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო. www.acda.gov.ge
55. საქართველოს მთავრობა, ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 21014-2017 წლებისთვის, www.mof.ge/common/get_doc.aspx?doc_id=10722
56. საქართველოს მთავრობის განკარგულება №566 საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების 2012-2022 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ, 2012 წლის მარტი, თბილისი.
57. სოფლის მეურნეობის დარგში ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების ოდენობა ორჯერ გაიზარდა, 4 ოქტომბერი 2017 წ, (http://www.newposts.ge/?l=G&id=153051)
58. 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, თბილისი 2017 წ.

საიტები:

http://www.moa.gov.ge/

http://www.geostat.ge

http://www.economy.ge

http://www.investingeorgia.org

https://www.yell.ge/companies.php?lan=geo&

rub=406 http://apma.ge/ http://geworld.ge/

http://www.acda.gov.ge/ http://agroface.ge/

http://www.caucasusgenetics.ge/index.php?la

ng=de http://www.agrosolutions.ge/geo/

http://www.lma.gov.ge/index.php?lang=ka

http://srca.gov.ge/ https://www.agsoland.ge/

http://agronews.ge

http://eugeorgia.info/ka/news/soflis-

meurneoba/3/0/0/1/

https://www.tbcbusiness.ge/

https://www.bia.ge/Company/10713

http://www.doctrina.ge http://www.gcfund.ge

http://bpi.ge http://caucasus-group.ge

http://ibusiness.ge http://iset-

pi.ge/index.php/ka/research/aprc

http://biomass.ge/ge/soplis-meurneoba

http://ice.ge/of/

http://agrokavkaz.ge

http://forbes.ge

http://environment.cenn.org

http://www.parliament.ge